№ 42 1877—1905 № 42

პარასკევი, 1 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

პარასკევს, 1 აპრილს, არა-ჩვეულებრივი წარმოდგენა იქნება.

სხვათა შორის, ამ საღამოს **სამი ჭიდაობაც** გაიმართება. პირველად კავკასიურად იჭიდავებს ცნობილი ჰერკულესი ფალავანი **გრუდინ-ლიტვინოვი** ცნობილ ფალავან **გრიქურ არაქელოვთან**, რომელიც სულხანოვის ლეინის საწყობში მსახურებს. ჯილდო ვერცხლის საათი. მეორედ კავკასიელი ცნობილი ფალავანი **ლუკა დადიანიძე** დაეჭიდება გამოჩენილ ფალავანს **ნიკოშკა რომანენკოს**. ჯილდო ვერცხლის საათი. მესამედ გაიმართება კავკასიურ-ფრანგული ჭიდაობა. იჭიდავებენ ცნობილი პაწაწკინა ფალავნები **არტური და ალექსანდრე**. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1—1

ქართული წარმოდგენა

(იაფ-ფასიანი)

არტისტიულ საზოგადოების თეატრში

ორშაბათს, 4 აპრილს 1905 წ.

ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

მეზობლები

თანამედროვე დრამა 4 მოქმ., ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძე, ნ. დავითიშვილი, ო. ლეჟავა; ბ-ნი: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი, საფაროვი და სხვ.

ბილეთების ფასი დაკლებულია

შეგირდებისათვის კუპონები ლოჟებში 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **ვალ. გუნია**.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა,

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана**.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

პირველი საიმედო ნაბიჯი.

სიამოვნებითა და სიხარულით უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს ის ამბავი, რომელიც გუშინ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე მოხდა. ჩვენ გუშინ გამოვსთქვით იმედი, რომ თავად-აზნაურობა ვიწრო წოდებრივ ინტერესებში არ გაიხლართება და დიად ეროვნულ საკითხს შესაფერ პასუხს გასცემსო.

ჩვენი მოლოდინი არ გაცრუვდა: გუშინ, თავად-აზნაურთა საგანგებო კრების გახსნის შემდეგ, როცა თავმჯდომარემ კრება შესწყვიტა და დამსწრეთ დაავალა გასარჩევ საკითხებზე მოფიქრება და გარკვეულ აზრის შედგენა, თავად-აზნაურობამ ითათბირა საქართველოს მართვა-გამგეობის საკითხზე და ერთხმად იმ დასკვნას დაადგა, რომ მოითხოვოს საქართველოსთვის ავტონომია და დამოუკიდებელი თვით-მართველობა.

ჩვენ აღტაცებით ვეგებებით თავად-აზნაურობის ასეთ გადაწყვეტილებას. ახლა ისეთი დროა, რომ თვითონ ცხოვრება ყველას ძალა-უნებურად წინ ეწევა და აძალებს მოწინავე აზრ-იდეების შეთვისებას. უკან ჩამორჩენა და განვლილ ცხოვრების ტრფიალება მომასწავებელია ყველასთვის სიკვდილისა და საკუთარის ხელით თავის დამარხვისა. ამას, ეტყობა, კარგად გრძნობს ჩვენი თავად-აზნაურობა და ამიტომაც ამ შემთხვევაში იგი დაადგა ისეთ გზას, რომელიც მთელი ქართველობისთვის ეროვნულ სიკეთისა და სარგებლობის აღმთქმელია.

რასაკვირველია, დღეს აკადემიურ კამათის დრო არ არის და ამიტომ არ გვინდა შევეხოთ, თუ ვის როგორ აქვს წარმოდგენილი ავტონომიური თვითმართველობა. ავტონომია შეიძლება უკიდურეს რეაქციონურ საფუძველზედაც იყოს აშენებული და შეიძლება ფართო დემოკრატიულ პრინციპებზედაც იყოს დამყარებული. მაგრამ თავი საქმე დედა-აზრი და ჩვენც სწორედ ამ დედა-აზრის გულისთვის ვეგებებით თანაგრძნობით თავად-აზნაურთა გადაწყვეტილებას. „საფუძვლის“ ამორჩევა და პრაქტიკულ ცხოვრებაში გადატანა თვითონ ჩვენზე იქნება დამოკიდებული, თუ თვით ,,დედა-აზრი‘‘ განხორციელდა და ჩვენს მხარეს ავტონომიურად არსებობის უფლება მიენიჭა. ამ უფლების მოპოების შემდეგ ქართველი ერი შესძლებს ,,საფუძველთა‘‘ მოწესრიგებას და საზოგადოებრივ ცხოვრებისთვის დემოკრატიული მიმართულების მიცემას.

პირველი ნაბიჯი გადადგმულია. და იმედია, თავად აზნაურთა დღევანდელი კრება მეორე პროგრესიულ ნაბიჯსაც გადადგამს, ავტონომიის მოთხოვნას ოფიციალურ დადგენილების ხასიათს მისცემს და ამ სახით დიად ეროვნულ საქმეს თავის მხრით დახმარებას გაუწევს..

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

თავად-აზნაურთა გუშინდელ კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. თავმჯდომარეობდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. ალ. ივ. ჯამბაკურ-ორბელიანი. კრება 12 საათზე დაიწყო.

თავმჯდომარე. ტფილისის გუბერნატორის ნება-რთვით, მე კრებასა ვხსნი და ვსთხოვ კრებას აირჩიოს კომისია ადრესის შესამუშავებლად, რომელიც უნდა მიერთვას ხელმწიფე იმპერატორს მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებისა გამო, აგრეთვე მემამულეთა და გლეხთა შეთანხმების საკითხის გამოსაკვლევად. კომისიის ასარჩევათა და ამ საკითხების გამოსაკვლევად შეგიძლიანთ თქვენ შორის აირჩიოთ თავმჯდომარე და კერძო თათბირი იქონიოთ.

ზოგი ორატორი სიტყვის ნებას თხოულობს, მაგრამ თავმჯდომარე ნებას არ აძლევს და კრებას ჰხურავს.

კრება ირჩევს თავმჯდომარეს. ასახელებენ მ. ვ. მაჩაბელს, ივ. ს. ჯაბადარს, ვ. მ. ყიფიანს.

რატიშვილი. კრებას უნდა თავმჯდომარეობდეს ისეთი კაცი, რომელსაც არაფრის შიში არ ჰქონდეს, რომ შეეძლოს მისცეს ყველას ნება თავისუფლად ლაპარაკისა. მ. ვ. მაჩაბელი კი სახელმწიფო სამსახურშია და...

მ. მაჩაბელი. მე შემიძლიან სახელმწიფო სამსახურში ვიყო, მაგრამ იმაზე მეტი პირდაპირობა და რადიკალობა კი გამოვიჩინო, ვინც არა მსახურებს.

ხმის უმეტესობით, თავმჯდომარედ იქმნა არჩეული მ. ვ. მაჩაბელი, რომელიც მაშინვე შედგა კერძო კრების თავმჯდომარეობას.

გამოირკვა, რომ ზოგი წინააღმდეგი ყოფილა ,,ადრესის‘‘ გაგზავნისა.

გამოითქვა ის აზრიც, რომ ადრესებს, პეტიციებს, თხოვნებსა და სხვას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს. საჭიროა მოვითხოვოთ, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევა დააჩქარონ და მაშინ დავინახავთ, რას გადასწყვეტს ეს კრებაო.

ზოგი ამტკიცებდა, ჩვენ უნდა შევუერთდეთ რუსეთის ხალხს, რომელმაც სხვადასხვა მოთხოვნილებანი წარუდგინა მთავრობას, ჩვენც იგივე უნდა მოვითხოვოთ, მხოლოდ უნდა დავუმატოთ ჩვენი ეროვნული მოთხოვნილებანი, მართველობა იყვეს ქართულ ენაზე, სკოლებში ქართული ენა იყოს შემოღებული და სხვა...

ზოგი იმ აზრისაა, რომ ადრესი ხელმწიფეს უნდა მიერთვას, რადგან ის თხოვნები, რომელიც მიდის ბულიგინის კომისიაში, ე. ი. ისევ იმ ბიუროკრატიულ დაწესებულებაში, მიზანს ვერ აღწევს,—ეს ქაღალდები კანცელარიაში ინახება და ხელმწიფემ არაფერი იცისო. ამასთანავე, პეტიცია ბულიგინის კომისიაშიაც უნდა გავგზავნოთო. უნდა გამოირკვეს ეს საკითხი: უნდა თუ არა ჩვენს თავად-აზნაურობას შეუერთდეს იმ ხმას, რომელიც რუსეთის ყველა კუთხეში ამაღლდაო. ზოგი კიდევ იმას ამბობს, რომ არავითარი თხოვნები კომისიაში არ უნდა იგზავნებოდეს, რადგან ბიუროკრატიამ ეს კომისიები იმიტომ გამოიგონა, რომ თავისი მოკლე დღეები როგორმე გააგრძელოსო. ეხლა მარტო ბრძოლაა საჭიროო.

წაკითხულ იქმნა ადრესის პროექტები.

პირველ პროექტში ის აზრია გატარებული: რომ თავად-აზნაურობამ სთხოვოს მთავრობას, პეტერბურგში მოსაწვევ დამფუძნებელ კრებაში კავკასიასაც ჰყავდეს თავისი წარმომადგენლები, მეორეში კი ისა, რომ მოწვეულ იქნას საერთოდ მთელის რუსეთისათვის დამფუძნებელი კრება, რომელმაც უნდა მიანიჭოს საქართველოს ავტონომიური თვითმმართველობა.

ორივე საკითხმა კრებაში დიდი კამათი გამოიწვია. სხვადასხვა ორატორი თითოეულ ამ საკითხს თავისებურად ასუბუთებდა. უმრავლესობა კი ავტონომიის აზრს ემხრობოდა.

ბევრის კამათის შემდეგ თავმჯდომარემ დააყენა ორი საკითხი გადასაწყვეტად: თავად-აზნაურობამ ითხოვოს მხოლოდ, რომ დამფუძნებელ კრებაში კავკასიის წარმომადგენლებიც იყვნენ, თუ, თანახმად მეორე პროექტისა, ამასთან ერთად ცხადივე მოითხოვოს საქართველოს ავტონომიური თვითმმართველობაო.

კრებამ თითქმის ერთხმად მიიღო უკანასკნელი წინადადება და ამასთან დაადგინა, აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ამ საერთო სურვილის (საქართველოს ავტონომიის) გამომხატველი ადრესი და დღეისთვის წარუდგინოს კრებას, რომელიც გაგრძელება იქმნება გუშინდელ კრებისა.

კომისიაში ერთხმად არჩეულ იქმნენ: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, მ. გედევანიშვილი, მ. ვ. მაჩაბელი, ვ. რ. ყიფიანი, ე. რცხილაძე და ალ. ი. ყანჩელი.

ამგვარად, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა გუშინ კერძო კრებაზე იქმნა მიღებული, ხოლო ეს გარდაწყვეტილება უქვეშევრდომილესს ადრესში ნათლად უნდა იქმნას განხატული და საგანგებო კრებამაც დღეს ოფიციალურად უნდა მიიღოს.

გლეხთა მოძრაობა ტფილისის მაზრაში

(წერილი მარტყოფიდან)

მარტყოფშიაც იფეთქა გლეხთა საერთო მოძრაობამ. 24 მარტს დილიდანვე სოფელს არაჩვეულებრივი მღელვარება დაეტყო. სუყველგან გატაცებით მსჯელობდნენ თავიანთ ჭირ-ვარამზე: გონებრივ და ქონებრივ სიღატაკეზე, უუფლებობაზე, ადმინისტრაციის თვითნებობაზე და სამღვდლო გადასახადებზე.

დილის ათი საათი იქნებოდა, რომ სოფლის კანცელარიასთან თავი მოიყარა ორი ათასამდე გლეხმა, მათ შორის ქალებიც ბლომად იყვნენ. ყველას ეტყობოდა აღელვება და საზოგადო საქმისთვის თავდავიწყებული გატაცება. აქ ერთმა ახალგაზდა გლეხმა სიტყვის ნება სთხოვა ყრილობას. იმან გაუთვალისწინა ხალხს მისი აუტანელი მდგომარეობა, განუმარტა, რომ ადამიანს შეფერის ცხოვრება ადამიანური და არა მონური. „...გადასახადებით ტყავს გვაძრობენ, ჩვენს საუკეთესო მიწებს სხვა ტომის ხალხს ურიგებენ, სკოლებში ბავშვებს მხოლოდ გვიმახინჯებენ და ბევრ ამისთანა უსამართლობას საზღვარი არა აქვს! დროა, დრო, ხალხო, რომ შევიგნოთ, ჩვენი აუტანელი გაჭირვება, რომ ჩვენს უპატრონო თავს ჩვენვე გავუხდეთ პატრონად! მაშ, ხალხო, შევეფიცოთ ერთმანეთს, რომ ჩვენ თანხმობით ვიმოქმედებთ ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ერთმანეთს არ ვუღალატებთ საერთო საქმეში!‘‘—დაამთავრა ორატორმა. «ვეფიცავთ!» გაისმა ხმა ხალხისა, „ხალხის მოღალატეს ღმერთმა უღალატოს!“ და სხვა.

ბევრი თათბირის შემდეგ ხალხმა აღნუსხა თავისი უუსაჭიროესი მოთხოვნილებანი. ხალხის მოთხოვნით ყრილობაზე მოვიდნენ ადგილობრივი მღვდლები (ერთის გარდა) და სამრევლო სკოლის მასწავლებელი ქალი (სამინისტრო სკოლა დაკეტილია შეუკეთებლობის გამო). მღვდლებს ხალხმა გამოუცხადა, რომ ჩვენ ცხოვრება გაგვიჭირდა, თქვენ სასარგებლოდ დიდ ხარჯს ვეღარ გავწევთ და, თუ უნდა, მთავრობამ დაგაკმაყოფილოთო; ამიტომ გისპობთ სახუცოს და სამღვდელმოქმედო წესების შესასრულებლად გინიშნავთ: ჯვარისწერისათვის სამ მანათს, მიცვალებულის დასაფლავებისათვის 1 მ., საწირავისა და ნათლობისათვის ორ-ორ აბაზსაო. მღვდლები ძალაუნებურად დასთანხმდნენ და პირობას ხელი მოაწერეს. მასწავლებელს გამოუცხადეს, რომ სამრევლო სკოლა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას და მოსთხოვეს სწავლა შეეწყვიტა: ამის შემდეგ გრძელი ლაპარაკი ჰქონდათ კიდევ სხვადასხვა საჭიროებაზე.

აღნუსხეს რა თავიანთი მოთხოვნილებანი სათითაოდ, გლეხები დაიძრნენ აქედან წითელი დროშით, ჩალეწეს სოფლის კანცელარიის ფანჯრები, გაემართნენ სასოფლო ქსენონისაკენ, გასტეხეს ამ ქსენონის რამდენიმე ფანჯრის მინა, დუქნებიდან გამოიტანეს პატენტები და საჯაროდ დახიეს, სადაც არყის ქვაბები ეგულებოდათ, სუყველას აქციზის ბეჭდები ააგლიჯეს... საღამო ხანზე ხალხი დაიშალა. სოფლის მამასახლისმა ეს ამბავი აცნობა მაზრის უფროსს.

მეორე დღეს, 25 მარტს, გაისმა სობოროს ზარის ხმა და აუარებელმა ხალხმა იწყო სოფლის კანცელარიისაკენ დენა. ამ დღეს ხალხის რიცხვი 2500-ს აღემატებოდა, მეხუთედს ქალები შეადგენდნენ. მაზრის უფროს მოლოდინში ხალხი მსჯელობდა თავის საჭიროებაზე. სამი საათი იქნებოდა რომ მაზრის უფროსი მოვიდა სამი საერობო დარაჯით. ხალხი ზრდილობიანად დაუხვდა, როგორც კერძო პატივცემულს პირს, და ასეც მიესალმა: „ლევან ჯანდიერს გაუმარჯოსო!“ მაზრის უფროსს ასეთი დახვედრა ესიამოვნა და გულდასმით მოისმინა ხალხის გაჭირვება. როდესაც ხალხმა უფროსს მოსთხოვა, რომ ერთი ჩვენი მღვდელი მოგვაშორეო, უკანასკნელი მოიწვია უფროსმა ყრილობაზე და გამოუცხადა ხალხის საჩივარი მის შესახებ. ამ დროს საჩივრით მიმართა მაზრის უფროსს, სხვათა შორის, ერთმა გლეხმა და მოახსენა: „ჩვენი მღვდელი რაღაცაზე გამიწყრა, ეს სამი წელიწადია სახლი შემიკრა და ჩვენ სახლში ფეხი აღარ შემოუდგამს და ამიტომ არც მე მიმიმართავს მაგისთვის. მე სიღარიბის გამო ვერ შევძელ სახუცოს მიცემა, მაგან კი, თუმცა სამართლით არაფერი არ ერგებოდა ჩემგან, რადგან ჩემთვის არა გაუკეთებია-რა, დამაყენა თავს მოხელეები, დამარბია და ორი უკანასკნელი საფენი წამართვა და ეხლა სახლში უფენია, მე კი დავრჩი ავადმყოფი ცოლით და წვრილი შვილებით საცოდავად ნესტიან სახლის ცივ მიწაზე. აბა ეს სამართალია, შენი ჭირიმე, კნიაზო? მღვდელმა მაგისთანა საქმე უნდა გვიყოს?“ ამას მოჰყვა ამავე მღვდელზე სხვა საჩივრები: «მე მიცვალებული ძაღლივით უანდერძოდ დამიფლავინა», „მე უზიარებელი მომიკლა“ და სხვა. ამას კვალად მოჰყვა საერთო ხმა: «არ გვინდაო!» თუმცა ბრალდებულმა ბევრი ეცადა თავი გაემართლებინა, მაგრამ აღელვებული ხალხი ყურს არ უგდებდა და თავისას გაიძახოდა. უფროსმა უთხრა ხალხს, შეიმუშავეთ, შეავსეთ თქვენი მოთხოვნილებანი და გამომიგზავნეთო. იგი მეგობრულად გამოეთხოვა ხალხს და სხვა ადგილას გაემგზავრა.

მას შემდეგ ხალხს უკვე შეუმუშავნია თავისი მოთხოვნილებანი, რომლებსაც აქვე ვურთავთ:

1) ძირიანად შეიცვალოს არსებული წესწყობილება.

2) ქართველი ერი შეიქმნეს სრული მონაწილე რუსეთის მომავალი რეფორმებისა.

3) მარტყოფის გლეხობას დაუბრუნდეს ის მიწები და მამულები, რომელიც ხაზინის აგენტებმა დაიჭირეს ამ ცოტა ხნის განმავლობაში და რომელიც მარტყოფის გეგმაშია მოთავსებული, მაგ., „სამგორი“, „ბეჟანიანთი“, „კანდელაკიანთი“ და სხვა მიწები.

4) ჩვენს სამშობლოში თავისუფალი ადგილები მიეცეს ჩვენივე ტომის უმიწაწყლო ხალხს.

5) სკოლაში სწავლა სწარმოებდეს ქართულს ენაზე, სავალდებულო ყველასათვის და უფასო. რუსული ენა, როგორც სახელმწიფო, იყოს ცალკე საგნად უფროს განყოფილებაში. ამ სკოლებში ისწავლებოდეს აგრეთვე მეურნეობა. სწავლა იყოს იმისთანა პროგრამით, რომ ამ სკოლაში სწავლა-დამთავრებულს ბავშვს შეეძლოს გამუცდელად განაგრძოს სწავლა საშუალო სასწავლებელში. საშუალო სასწავლებელშიც სწავლის საქმე ეროვნულს ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული.

6) ტყეს განაგებდეს ხალხი და ყოველი გლეხი თავისუფლად და უბაჟოდ სარგებლობდეს თავის საჭიროებისათვის იმ ტყით, რომელიც მარტყოფის გეგმაშია.

7) თანასწორად იხდიდეს მიწის ყოველსავე ხარჯს და მონაწილეობას იღებდეს სასოფლო საქმეებში ყოველი კაცი, წოდებისა და ხარისხის მიუხედავად.

8) მოისპოს აქციზი, შემცირდეს პატენტისა და გილდის გადასახადი.

9) სამხედრო სამსახური შემოკლდეს ორ წლამდის. ჩვენი სალდათები არ იგზავნებოდნენ სამშობლოს გარედ, რადგანაც უცხო ჰავას ვერ იტანენ, სნეულდებიან და იხოცებიან.

10) მოისპოს ყოველგვარი სახელმწიფო ბეგარა.

11) შემცირდეს პოლიციის უფლებები და მოისპოს საერობო დარაჯები.

12) თანასწორობა კანონის წინაშე ყოველის წოდებისა და ხარისხისა.

13) სამართალი იყოს დღეიანზე, უთარჯიმნოდ.

14) მთავრობამ დაგვიბრუნოს ქსენონი თავის ხარჯით.

15) მოისპოს საცხოვრებელი ვადიანი ბილეთები (პასპორტი).

16) დაუბრუნდეს ხალხს ფული, რომლითაც წინ გამო ვერ ისარგებლეთ, და ამ ფულით დაარსდეს სასოფლო კასსა.

17) მოისპოს გადასახადი გასასვლელ საქონელზე ქ. ტფილისში (როგზე).

18) ნება მიეცეს ჩვენს ხალხს იარაღის ტარებისა თავის დასაცველად.

19) გლეხობას ეპატიოს ნისია, რომელიც არის შემდგარი მოუსავლიანობისა, საქონლის სენისა და სხვა უბედურ შემთხვევათა გამო.

20) გაუქმდეს მერობის ჯარიმები.

21) დაკანონებულ იქმნეს სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებების და გაფიცვის თავისუფლება...

გარდა ამისა აღნიშნულია კიდევ რამდენიმე სხვა მოთხოვნილებაც.

მარტყოფელი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

30 მარტი.

პეტერბურგი, 30 მარტი. დღეს ფინანსთა მინისტრმა მოსკოვის მუშათა ურთი-ერთ შორის დამხმარებელ საზოგადოების დეპუტაცია მიიღო. დეპუტაციამ მინისტრს მუშათა მოთხოვნილებანი წარუდგინა.—პროვინციაში ხმა გავრცელდა, ვითომც რუსეთის მთავრობას ამ მოკლე ხანში შინაურ სესხის გამოცემა სურდეს. „პეტერბურგის სააგენტო“ ამით აცხადებს, რომ ეს ხმა სიმართლეს მოკლებულია.—კალიშისა, სედლეცისა და რადომის გუბერნიებში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოცხადდა. ქუთაისის გუბერნიის—ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის მაზრებში და ბათომის ოლქის კინტრიშის საბოქაულოში კი—საომარ დროის წესების დამყარება გამოცხადდა.

შინაგან სესხის 200 მილიონიდან ჯერ-ჯერობით გამოცემულია 100 მილიონი. ფინანსთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა დანარჩენიც გამოსცენ.

ქანეია, 29 მარტი. საღამოს 6 საათზე ინგლისის კრეისერ „დჟიუნო“-თი მოვიდნენ საერთაშორისო ჯარები, ჟანდარმები და განიაში დაჭერილი 12 პატიმარი. ხალხი პატიმართ მიესალმა და პოლიციის უბნამდის თან გაჰყვა. აქ იტალიის აფიცერმა კარაბინერებს უბრძანა, თოფები გატენეთო. მაშინ ხალხი დაიშალა. საეკლესიო ზარების რეკვით ხალხს კრებებზე იწვევენ..

რომი, 29 მარტი. ნაშუადღევს მეფემ მთავარ ფერდინანდს დასაბაზობა გადაუხადა. მთავარმა ფერდინანდმა ტიტონი, უცხო საქმეთა მინისტრი ინახულა და დიდხანსაც ესაუბრა.

ვენა, 30 მარტი. (კორ. ბიურო). დღეს დეპუტატთა კრებაზე გამწვავებული ლაპარაკი მოუვიდათ კრამერსა და შტერნბერგს. მომავალი კრება 20 აპრილს იქნება.

რომნი, 29 მარტი. დღეს კიევიდან აქ მოვა სამოსწავლო ოლქის მზრუნველი. ხმა გაავრცელეს, ახლო მომავალში დედათა გიმნაზიის აფეთქებას აპირებენო. დღეს საღამოს მასწავლებელთა საბჭოს და მშობლების კრება ექნებათ, რომელზედაც აღნიშნულ იქნება ზომები უბედურებისაგან თავის დაცვისათვის. ბევრი მშობელთაგანი თავისს ქალს გიმნაზიაში აღარ ატარებს.

ოტტავა, 29 მარტი. ბრიტანიის კოლუმბიის მცხოვრებნი ცდილობენ იაპონელთა გადმოსახლებას ხელი შეუშალონ, მაგრამ ადგილობრივი მთავრობა აცხადებს—ამის შესახებ არავითარ კანონმდებლობით დადგენილება არ გამოსცემო.

პარიზი, 30 მარტი. ბულგარიის მთავარმა გუშინ მეფე ინახულა და არა პაპი.—29 მარტს შედგა მეექვსე საზოგადო ყოველწლიური კრება რუსეთის სავაჭრო პალატისა პარიზში. ელჩმა ნელიდოვმა თავის წარმომადგენლად კრებაზე საკომერციო აგენტი რაფალოვიჩი გაგზავნა, რომ ხსენებულ დაწესებულებას ელჩის სახელით თანაგრძნობა გამოეცხადოს და მომავალში წარმატება უსურვოს.

ტანჟერი, 30 მარტი. „ტაიმსი“ იუწყება: მაროკოს მთავრობას განზრახული აქვს სთხოვოს საფრანგეთის მისიას ფესიდან ტანჟერში დაბრუნდეს, სადაც საფრანგეთის წარმომადგენელს განზრახულ რეფორმების შესახებ სულთანის პასუხს ოფიციალურად შეატყობინებენ. სულთანს სწადია, რომ გერმანიამ ფესში, რაც შეიძლება, ჩქარა გაგზავნოს საგანგებო წარმომადგენლები ახალ სავაჭრო კონვენციაზე მოსალაპარაკებლად და იმ საუკეთესო პირობების გამოსაძებნელად, რომლითაც შეიძლება მოხდეს მაროკოს საკითხის შესახებ საერთაშორისო შეთანხმება და აგრეთვე მიეცეს საერთაშორისო გარანტია მაროკოს ტერიტორიის ხელუხლებლობისა.

იალტა, 30 მარტი. ხალხის ჯანმრთელობისთვის მზრუნველ საზოგადოების განყოფილებამ, 18 თებერვლის უქაზის ძალით, კურსკში და სხვა ქალაქებში მომხდარ ამბების გამო მინისტრთა საბჭოს შემდეგი განუცხადა: აუცილებლად საჭიროა პოლიციის რეორგანიზაცია კანონმდებლობის მიხედვით და მისი ქალაქის თვითმართველობათათვის დაქვემდებარებაო. პასუხად საბჭოს საქმეთა გამგებლისგან ოფიციალური განცხადება მოუვიდა: უმაღლესად ნაბრძანებია, თქვენი მოწერილობა განსახილველად შინაგან საქმეთა მინისტრს გადაეცესო.

პარიზი, 30 მარტი. გერმანიის საელჩოში სადილი, რომელზედაც დელკასეც მიწვეული, დღეს გაიმართება. ბრესტის მუნიციპალიტეტმა განუსაზღვრელი კრედიტი გადასდო ინგლისის ესკადრის დასახვედრად, რომელსაც ივლისში მოელიან. ამბობენ, ინგლისის მეფე-დედოფალი უკან დაბრუნების დროს პარიზს ეწვევიანო.

ვარშავა, 30 მარტი. გენერალ-გუბერნატორს სამოცი გლეხი წარუდგა და სთხოვა, მოისპოს ის ჯარიმები, რომელიც გააწერეს, იმის გამო, რომ გმინის სამმართველოში საქმის წარმოება პოლონურ ენაზე მოითხოვეს.

რეველი. 30 მარტი. გუშინ საღამოთი ორმა კაცმა ჩასაფრებულ ადგილიდან ბოქაულ მალგინს სამჯერ რევოლვერი ესროლა. ტყვია იმ ქაღალდების კონას მოხვდა, რომელიც მას მიჰქონდა. დამნაშავენი დაიმალნენ.

ჰელსინგფორსი, 30 მარტი. სეიმის საპატიო დახურვა უმაღლესად დამტკიცებულ ცერემონიით შაბათს, 2 აპრილს, მოხდება. გენერალ-გუბერნატორი მისის უდიდებულესობის სახელით სეიმს დახურავს და დაითხოვს საერობო დაწესებულების წევრებს.

ვენა, 30 მარტი. „ნოიე ფრეიე პრესე“-ს მინდობილი აქვს უარჰყოს ის ხმა, ვითომც იმპერატორმა უარი სთქვა მეფობაზეო. კრიზისის თავიდან ასაცილებლად სელლიმ ურჩია იმპერატორს: გააძლიეროს უნგრეთის სახელმწიფოს მნიშვნელობა დიპლომატიაში უნგრეთის საგანგებო ღერბის შემოღებით, ბუდაპეშტში დიპლომატიურ სასწავლებლის დაარსებით და საზოგადო სამინისტროს ბუდაპეშტში გადატანით. იმპერატორმა არ მიიღო სელლის რჩევა.

რიგა, 30 მარტი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი რიმსკი მოვიდა.

ტულა, 30 მარტი. ტყვია-წამლის მომმზადებელ ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი დიდია. ქარხანაში დროებით მუშაობა შესწყდა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

30 მარტი.

გუნჯულინი, 29 მარტი (საკ. კორესპ.). ჩვენს მარჯვენა ფრთეზე მომხდარ უმნიშვნელო ბრძოლას სრულიადაც არ დაურღვევია ის მდუმარეობა ომის ასპარეზზე, რომელიც თითქო დიდხანს უნდა გაგრძელდეს. ჰფიქრობენ, ერთ თვემდის საყურადღებო არაფერი მოხდებაო. ჩინელთა ცნობებით დაბეჯითებით ირწმუნებიან, იაპონელები რუსის მარცხენა ფრთეს გვერდს უვლიან და გირინისკენ მოდიანო. გირინის აღების შესახებ ხმები არა მართლდება.

ტოკიო, 30 მარტი (რეიტერი). ოფიციალურ ცნობებით რუსები პოზიციებს ამაგრებენ ჩანტუნ-გირინის გზაზე. შეტაკებები ყოველ-დღე ხდება. შეტაკებას ბრძოლაც მოსდევს. ამბობენ, რუსეთის მთავრობამ სახალინელები შეაიარაღა და მამაც ბრძოლისთვის თვითეულს ტყვეობიდან განთავისუფლება აღუთქვაო. სახალინის გარნიზონში სულ 300 კაცია.

ლონდონი, 30 მარტი. რუსი გამოცდილი მეზღვაური „პეტერბურგის სააგენტოს“ კორესპონდენტს ატყობინებს, როჟესტვენსკი პირდაპირ ვლადივოსტოკისკენ მიდის და საკმაო ნახშირიცა აქვსო. ტოგოს მხოლოდ სამი ჯავშნიანი გემი ჰყავს. «როსსია» და «გრომობოი“ საომრად მზადაა, „ბოგატირიც“ მალე იქნება მზად.—ნორვეგიის გემი „ჰენრი ვოლკოვი“ იაპონელებმა ჩაიგდეს ხელშიო.

სინგაპური, 30 მარტი. 26 მარტს აქეთ გავლილ რუსეთის ესკადრაში იყო: 7 ჯავშნიანი გემი, 2 ჯავშნიანი კრეისერი, 5 პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი, 3 კრეისერებად გადაკეთებული სავაჭრო გემი, შვიდი კონტრ-ნაღმიანი, 17 ხომალდი, ერთი საავადმყოფო გემი და ერთი ბუქსირიო.

ბონძიანძიანი. ნაშუადღევის 5 საათი და 20 წუთ. ლაშქრის მოწინავე რაზმები წინ წავიდნენ და სადგურ შამიაოძის ლიანდაგი გადიარეს, კავალერია კი შანძის ასაქცევთან ჰყავთ დატოვებული. შეტაკება არ მოსვლიათ. ცულიუშუს სამხრეთით ბლომად სჩანან იაპონელთა მზვერავები. შანძის აღმოსავლეთით, 23 ვერსის მანძილზე, სოფელ სიოჟეშთან დაბანაკებულა იაპონელთა ძლიერი რაზმი და სოფელი გაუმაგრებია. 24 მარტს ცხენოსანმა რაზმმა დაზვერა ცულიუბუ და აღმოაჩინა, რომ სოფელი სამ ბატალიონ ქვეითა ჯარს უჭირავს და რვა ზარბაზანი აქვს. დაზვერის დროს ასისთავი ჩერვინსკი ხელმეორედ დაიჭრა, დაიჭრა აგრეთვე 12 კაზაკი. 24 მარტს ტაიპინლინთან ურალელებიდან შემდგარი ორი რაზმი თავს დაესხა იაპონელთა მზვერავ დრაგუნებს, დაჩეხა 5 იაპონელი, ერთი დაჭრილი აფიცერი და ოცი ჯარისკაცი კი ტყვედ ჩაიგდო. ჩვენ არაფერი დაგვკლებია. 25 მარტს რაზმი უკან დაბრუნდა.

ბატავია, 29 მარტი. კუნძულ ანამბას ახლო ბრძოლაა. დაწვრილებით არაფერი ვიცით. ამ ბრძოლას ნიდერლანდიის ხუთი სამხედრო გემი ესწრობა.

სინგაპური, 30 მარტი. (რეიტერი). კუნძულ ბილლიოტინზე პანდანგაში გერმანიის გემ «გინდუ»-ს კარდიფის ნახშირით ტვირთავდნენ. მთავრობამ გემს ნება მისცა ტვირთის საიგონში წაღებისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ იქ ნახშირი ინგლისის ელჩს ჩააბარეთო. გემს სამხედრო დარაჯები მიუჩინეს.

საიგონი, 30 მარტი. (ჰავასი). ჯავშნიანი გემი „დეკარტი“ და ხუთი ნაღმოსანი კონცსენჟაკთან დგანან. ამბობენ, საკანონირო გემები: „აბერონ“-ი და „სტილს“-ი საიგონიდან საფრანგეთის წყლებში ნეიტრალიტეტის დასაცველად წავლენო. „დეკაბრ“-მა უმავთულო ტელეგრაფით უცხო ენაზე დაწერილი რამდენიმე გაუგებარი დეპეშა მიიღო. იაპონელების გემები კოხინხინის ნაპირებთან დგანან იმ აზრით, რომ რუსების ესკადრას თვალ-ყური ადევნონ. ჩინეთის ნავმა განაცხადა, იაპონელების ორმა გემმა ჩემგან სურსათი იყიდაო. თუ ვინიცობაა ომი კოხინხინის ნაპირებთან მოხდება, ერთად ამ ახალშენს არა დაუშავდებათ-რა, მხოლოდ მებრძოლთა გემები შესაკეთებლად საიგონში შევლენო.

ჩინჩავაძი, 30 მარტი. დილის 5 საათი და 10 წ. ტყვეების პასუხი ამტკიცებს მიშჩენკოს მიერ დაზვერვის დროს შეკრებილ ცნობებს იმის შესახებ, რომ იაპონელების უმთავრესი ძალები მუკდენსა, ტელინსა და კაიუანში არიან შეგროვილნიო.

ჩინჩავაძი, 30 მარტი. მთავარსარდალი დასავლეთის ფრთის ჯარებს ათვალიერებს და სამსახურისთვის მადლობას უხდის. ბევრი დაჭრილი ბრძოლის ველზე დაბრუნდა. მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელშიაც მათ მოუხდათ უკან დახევა, ჯარების სულიერი მდგომარეობა ძალიან კარგია და გამარჯვების რწმენა სამუდამოდ არ დაუკარგავთ. გაზაფხულის დარებია.

ამსტერდამი, 30 მარტი. ბატავიიდან მოსული დეპეშა იუწყება, ანამბასარიის კუნძულებს ახლო ზღვაზე დიდი ბრძოლა მოხდაო. დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა.

ლონდონი, 30 მარტი. სავაჭრო გემების აქაურმა პატრონებმა კერძო დეპეშებით ცნობა მიიღეს, თუ რამდენ გემისაგან შესდგებოდა რუსის ესკადრა, რომელმაც სინგაპურთან გაიარა. დეპეშები ამოწმებენ, რომ რუსის ესკადრაში ყოფილა შვიდი ჯავშნიანი გემი, ორი ჯავშნიანი კრეისერი, ხუთი ჯავშანი გადაკრული კრეისერი, თავისუფალ ფლოტის გემებიდან გადაკეთებული სამი კრეისერი, შვიდი კონტრ-ნაღმოსანი, 17 ტრანსპორტი საზღვაო ჰოსპიტლისა და ერთი ბუქსირი. ასე რომ, სინგაპურთან როჟესტვენსკის ესკადრას მთელის თავისის კრებულით გაუვლია.—ვიცე-კოროლი იუწყება, პენჯაბში მიწის ძვრის დროს დაახლოვებით 13 ათასი კაცი დაიღუპაო.—ჩემბერლენმა ლიბერალურ კლუბის წევრთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში ქებით მოიხსენია ლანსდოუნი საფრანგეთთან მორიგების მოწყობისათვის. იაპონიასთან ხელშეკრულობამ გაამართლა კიდეც იმედები, რადგან შეავიწროვა განხეთქილების ასპარეზი შორეულ აღმოსავლეთში. ჩემბერლენმა დაუმატა, მზად ვარ გავაფართოვო ეს ხელშეკრულობაო. მისის აზრით, თუ იაპონიისა და ინგლისის ხელშეკრულობას თავის დაცვის ხასიათი მიეცემა შორეულ აღმოსავლეთის მშვიდობიანობა დიდის ხნით უზრუნველყოფილი იქნება.

(ღამის დეპეშები იხ მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

—

ბრძოლა ზღვაზე. ბატავიიდან იუწყებიან, კუნძულ ანამბასთან 29 მარტს ადმირალი ტოგო და როჟესტვენსკი შეიბნენო. ბრძოლის შედეგი ჯერ არ იციან. შეიძლება ეს ცნობა მართალი იყოს, შეიძლება—ტყუილიც. დანამდვილებით ამის თქმა შეუძლებელია.

კორესპონდენტების დეპეშები. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: ოფიციალურ ანგარიშით, დღემდის რუსეთის ჯარს შორეულ აღმოსავლეთში დააკლდა 435 ათასი კაცი. ომზე დაიხარჯა ორი მილიარდი მანეთი (ნ. ვ.).

„მატენ“-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან იუწყება: სამხედრო პარტიის გავლენით, საერო კრების მოწვევის საქმე ბულიგინის კომისიამ ამ დღეებში მინისტრთა საბჭოს უნდა გადასცეს. მინისტრთა საბჭო სხვა კომისიას გადასცემს, ის—მესამეს, მესამე—მეოთხეს და ამგვარად საერო კრების საქმე იმ დრომდე ივლის კომისიებში სანამ ომი არ გათავდება. მერე ამ საქმეს სულ მოსპობენ.

ამის შესახებ „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება: ინგლისელებს რუსეთის რეფორმებისა არა სწამთ-რა და ჩვენს სამშობლოს ისევს წინანდებურად უყურებენ, ე. ი. ისე, როგორც ველურ ქვეყანას (ნ. ვ.).

საქმის ვითარება მანჯურიაში. „ნაც. ცეიტუნგ“-ის სამხედრო მიმომხილველის აზრით, ფრიად საინტერესოა, რომ რუსებიცა და იაპონელებიც ხმას არ იღებენ არა თუ საქმის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ ბრძოლის ველზე, არამედ მუკდენის ბრძოლის შესახებაც. ოიამამ, როგორცა სჩანს, რუსებს დევნა თავის «მოწინავეს“ გენ. კუროკის მიანდო, თვითონ კი გამარჯვების ნაყოფსა ჰკრეფავს! რუსეთს ამჟამად საფრთხე ცენტრში კი არ მოელით, არამედ გვერდებიდან, მარცხენა და მარჯვენა ფრთედან. გენ. ლინევიჩს შეუძლიან იაპონელები შეაჩეროს, ე. ი. თვითონაც მხოლოდ მაშინ შეჩერდეს, როცა იაპონელები შეჩერდებიან, ჯერ-ჯერობით კი, სანამ იაპონელები წინ მოიწევენ, ლინევიჩიც უკან უნდა წამოვიდეს. ოიამას პირველი და მახლობელი მიზანი—ხარბინის აღებაა. მარშალმა ოიამამ ისიც კი გაამოაცხადა, რომ ხარბინში 28 აპრილს ვიქნებიო. თუ იაპონელებმა მართლა მოახერხეს—მოახერხებენ კიდევაც—და ხარბინი აიღეს, რუსების საქმე სამუდამოდ წასული იქმნება: მთელ მანჯურიას, ე. ი. იმ ადგილს, რისთვისაც იბრძვიან—დაჰკარგავენ, რაც მანჯურიაში სურსათი და სამხედრო მასალა აქვთ, იაპონელებს ჩაუვარდებათ ხელში და ვლადივოსტოკსაც დღეებს დაუთვლიან. თუ ის ხმა გამართლდა, ვითომ იაპონელთა ორი დივიზია პოსიეტის ყურეში გადმოვიდა, ვლადივოსტოკს მალე მოეღება ბოლო და ზაფხულში მთელი პრიამურის ოლქი და სახალინიც იაპონელებისა იქნება. ზოგიერთის ცნობებიდანა სჩანს, რომ მარშალ ოიამას უნდა რუსებს სამშვიდობო გზა მოუჭრას, ე. ი. ხარბინს დასავლეთიდან მოუაროს. გენ. ნოგის ლაშქარი ისევ სადღაც დაიკარგა და არავინ იცის, საით და რისთვის მიდის. ჩინელები ირწმუნებიან, ნოგის ლაშქარი ციციკარისკენ მიდისო. თუ გენ. ნოგიმ მართლა მოახერხა და ხარბინს გზა მოუჭრა, გენ. ლინევიჩს ცუდი დღე დაადგება. ლინევიჩს, რასაკვირველია, შეუძლიან ვლადივოსტოკისკენ წავიდეს, მაგრამ ვლადივოსტოკი იმისთვის ნამდვილი ხაფანგი იქნება. ის კი ცხადია, რომ ჯერ-ჯერობით ლინევიჩს მხოლოდ თავის იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან ახალ ჯარებისა და სურსათის მიშველება რამდენისამე თვით შეფერხდება (რ.).

სადამდის წამოვლენ იაპონელები? ფრანგულ გაზეთებს ტოკიოდან ატყობინებენ: იაპონიის სამხედრო მინისტრმა გენერალმა ტერაუჩიმ განაცხადა, მარშალი ოიამა არაფერსაც არ შეუშინდება, ციმბირში შეიჭრება და რუსებს იქამდის სდევნის, სადამდისაც რუსებს უნდათ. სანამ მკვიდრი ზავი არ ჩამოვარდება, იაპონია ომს არ შეაჩერებს. იაპონიის ჯარის მოწინავე რაზმები ეხლავე მიუახლოვდნენ გირინს, ხაილუჩენიც აიღეს და, დღეს თუ ხვალ, კუანჩენძისაც მიადგებიან. ჩვენი ჯარი შეუჩერებლივ მიდის წინ. მარშალ ოიამას ყოველი ნაბიჯი გეგმის თანახმად ხდება. ამბობენ, იაპონიის ჯარი მოიქანცაო. ეს რომ მართალი ყოფილიყო, იაპონელები გირინთან არ ავიდოდნენ (რ. ვ.).

რუსები ამბობენ, იაპონელები ციმბირში შემოსვლას ვერ გაბედავენო, თუ გაბედეს, ის დღე დაადგებათ, რაც ნაპოლეონს დაადგა, ე. ი. თავიანთ ბაზას ძალიან დაშორდებიან, სურსათი შემოაკლდებათ და თვითონვე დამარცხდებიანო. ამის გამო იაპონიის ელჩს ბარონ გაიაშის უთქვამს: თუ კი რუსები ახერხებენ და 12 ათას ვერსის მანძილზე ნახევარ მილიონ სალდათს ინახავენ, იაპონიამ რატომ ვერ უნდა მოახერხოს და 2-3 ათას ვერსის მანძილზე ამდენივე ვერ უნდა შეინახოსო (რ.).

„ნოვოსტი“ ამტკიცებს, იაპონელები თუნდ შუა ციმბირშიაც შემოვიდნენო; არც სურსათი დააკლდებათ და არც სამხედრო მასალა, რადგან ჩინეთი იქვე გვერდით უძევს და იაპონელებს რაც უნდათ—მიაწოდებსო (ნ.).

მუკდენის აღება. «რუსი»-ის კორესპონდენტს მუკდენში დარჩენილ წითელ ჯვრის გამგე გუჩკოვთან უსაუბრნია. გუჩკოვს უთქვამს: რუსეთის ჯარმა მუკდენს თავი დაანება. ჩვენ და ჩვენი ავადმყოფები—დაჭრილი რუსები და იაპონელები მუკდენში დავრჩით. იაპონელები ჯერ არა სჩანდნენ. მუკდენის მიდამოებში ჩვენი სურსათი იწოდა. ნაშუადღევის 3 საათზე მუკდენს იაპონელთა მსროლელები მოუახლოვდნენ. ფრთხილად და ნელა მოდიოდნენ. გრაფმა ოლსუფიევმა წითელი ჯვრის დროშა აიღო და იაპონელთა დასახვედრად წავიდა. ჩინელები არ გვერჩოდნენ, იქვე დალაგებულ წითელ-ჯვრის საქონელს სჩხრეკავდნენ და იტაცებდნენ. ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენთან იაპონელთა დრაგუნები და ოლსუფიევი მოიჭრნენ. მერე ქვეითა ჯარიც მოვიდა. იაპონელებმა ჩინელებს თოფები დაახალეს და გარეკეს. მერე საავადმყოფოში შემოვიდნენ და, თავიანთი დაჭრილები რომ დაინახეს, მივარდნენ, მიესალმნენ და გამარჯვება მიულოცეს. დაჭრილი იაპონელები უცებ გამოცოცხლდნენ, წამოი-

ფელეტონი

დაიშალენით!..

—

საპოლიტიკო ცხოვრებას ხომ თავისი კანონები აქვს; რუსეთის გაზაფხულიც დაიწყო 1904 წლის შემოდგომაზე და 1905 წლის გაზაფხულისათვის გამოიყურება შემოდგომისავით.

საზოგადო და საერო ცხოვრების განვითარება ამ მოკლე ხნის განმავლობაში მხოლოდ აღლუმი იყო რუსეთის საპოზიციო ძალთათვის.

ამ აღლუმს მეთაურობდნენ „ნდობის“ ტრიბუნიდან. „მომწიფებული საზოგადო ძალები“, დროშებით და ბაირაღებით დაიარებოდნენ ამ ტრიბუნასთან ისე, თითქო მათ დიდი საისტორიო საქმე უნდა გაეკეთებიათ.

ყოველმა რაზმმა განაცხადა ტრიბუნასთან: „ამნაირი ცხოვრება აღარ შეიძლებაო“ და განახლების ჩვეულებრივი გეგმაც გამოსთქვა:

—...საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭის ყრა... ბეჭდვითი სიტყვის, კრების, შეკავშირების თავისუფლება... ხელუხლებლობა... ამნისტია...

რუსეთი, ერთის მწერლისა არ იყოს, გაჟღენთილია რეზოლიუციებით.

დამტკიცებულია, რომ ორჯელ ორი ოთხია, რომ ვერც მეცნიერება, ხელოვნება და მწერლობა, ვერც ვაჭრობა, მრეწველობა და მეურნეობა ვერ იხეირებს, თუ რუსეთმა გაბედულად და გადაჭრით არ დაარღვია არსებულ ცხოვრების პირობები და თუ არ შექმნა ახალი ცხოვრება.

თვით ხოლერასთან ბრძოლაც მიიჩნიეს შეუძლებლად, თუ არ იქმნა დამყარებული „თავისუფლება“...

რუსეთის საზოგადოება ახლაც არ ათავებს თავის მოხსენებას,—ასობით, ათასობით ადგენს რეზოლიუციებს და არჩევნების შესახებ მსჯელობს, საპარლამენტო დასებსაც აწყობს, თითქო მართლაც უკვე გადაწყვეტილი იყოს კრების მოწვევა.

საოპოზიციო აღლუმი არ წყდება და „ნდობის“ ტრიბუნისაკენ აღარ იყურება არავინ, ვინაიდან არც არსად მოსჩანს „ნდობა“.

ყველამ იანგარიშა არსებული ძალები, მდგომარეობა გამორკვეული შეიქმნა. გაისმის საზოგადოების ხმა, ხალხის ძახილი. არ არის ისეთი კუთხე დედა-მიწაზე, რომ არ იცოდნენ, თუ რა სურვილი აქვს ამ ჟამად რუსეთის საზოგადოებას...

საჭიროა მხოლოდ ერთი, ძლიერი, საქმის გადამწყვეტი შეკითხვა.

მაგრამ „ნდობის“ ტრიბუნას წინ ჩამოეფარა ფარდა და, ვინ იცის, თუ რა მზადდება ამ ფარდის უკან,—ხალხისთვის სასიკეთო თუ მავნებელი რამე?..

ყველა ჰგრძნობს, რომ მზადდება რაღაცა და გულის ფანცქალით მოელის მომავალს.

— ნუ თუ მეტია, უმნიშვნელო ყველაფერი, რაც გვითქვამს ან მოგვითხოვია?

თავ-მოყრილი საზოგადო ძალები მოლოდინში არიან.

აგერ, შეირყა ოდნავ „ნდობის“ ტრიბუნის წინ ჩამოფარებული მძიმე ფარდა და მოისმის იქიდან მკრთალად, გაუბედავად:

— რაღას დგეხართ და ელით, აღლუმი გათავდა, დროა, დაიშალენით.

მაგრამ თავის ადგილიდან არავინ არ იძვრის და მხოლოდ გაჩქარებით იმეორებს ისევე:

— სიტყვის, პრესსის, კრების თავისუფლება... პიროვნების და კერძო სადგომის ხელუხლებლობა... საყოველთაო, პირდაპირი და ფარული...

ფარდით დაბურული ტრიბუნა სდუმს და არის საიდუმლოებით მოცული, არ იცის არავინ წმიდათა-წმიდის ნამდვილი განზრახვა.

გულის ტკივილით, ბრაზ-მორეული კილოთი იმეორებენ თავ-მოყრილები იმავე სიტყვებს, იმავე ნატვრას თავისუფლების შესახებ...

ისევე შეირყა ფარდა. ისევ ძველი ხმა, მაგრამ უფრო ძლიერი და მბრძანებელი:

— დროა, დაიშალენით! თქვენგან მეტი არაფერი არ არის საჭირო, შინ წადით და ითათბირეთ თქვენს შინაურ საქმეებზე—უწინდებურად.

მოისმის საშინელი კილო:

— დაიშალენით! ხომ გესმით?...

მაგრამ თავმოყრილი საზოგადო ძალები მაინც არ იშლებიან და დაჟინებით იმეორებენ სულ ერთსა და იმავეს.

და ფარდის იქიდან მოისმის ამასობაში ახალი სიტყვები.

— ხალხის წარმომადგენელთა არჩევა გადაიდება.

— სიტყვის, ჟურნალ-გაზეთების, კრების თავისუფლებას გამოირკვევენ კომისიები.

— პიროვნების და კერძო სადგომის ხელ-უხლებლობა—ფუჭი სიტყვაა.

— საზოგადო დაწესებულებებში 18 თებერვლის რესკრიპტის შესახებ ლაპარაკი აკრძალულია.

— საჯაროდ სიტყვების წარმოთქმა ისჯება კანონთა ახალ დებულების სხვადასხვა მუხლების ძალით.

თავშეყრილი საზოგადო ძალები გაკვირვებით ისმენენ ამ სიტყვებს და ეკითხებიან ერთმანეთს:

— განა შორეულ-აღმოსავლეთში არ დამარცხდა რუსის ჯარი და გამარჯვების ამბავი მოგვივიდა? დამშვიდდა განა განაპირა ადგილები რუსეთში? შეწყდა განა ხალხის აღელვება სოფლებში და მუშათა მოძრაობა ქალაქ ადგილებშიაც? ასესხა განა ვინმემ საზღვარ-გარედ რუსეთის ბიუროკრატიას? განა არ მოდის ხოლერა და ხალხს შიმშილობას არ უქადის მომავალი?

მაშ რაღად გვესმის „დაიშალენით“?

ნ. სტროევი.

„ნოვოსტი“ № 76.

იმერეთის სამღვდელოების კრება

—

დღევანდელ სულის შემხუთავ ცხოვრების პირობებმა თავისი ბასრი კლანჭები ყველა სოციალურ კლასებს, ჯგუფებსა და წოდებებს შეახო. ყველა მიძინებული ძალები გამოაღვიძა, აალაპარაკა, კაბინეტიდან გარედ გამოიყვანა და აქ სამოქმედოთ იწვევს. დღეს ყველასთვის ერთი საკითხია დაყენებული: ან ალღო აუღოს ახლანდელ მოთხოვნილებებს და ვისაც აქტიური მოქმედება არ შეუძლია, ფეხდაფეხ აჰყვეს ცხოვრებას, და ან, თუ ეს არ უნდა, ჩამორჩეს და მოსწყდეს მას...

მღელვარე ცხოვრებამ აიძულა სამღვდელოებაც, ხმა ამოეღო და წინანდელზე მეტის ცნობიერებით შეჰგებებოდა ცხოვრების მოთხოვნილებას. ამ მხრით საქართველოს სხვა კუთხეების სამღვდელოებას იმერეთის სამღვდელოებამ კი ამ საქმეში ერთსაც დაასწრო და მეორესაც. აქ ეპისკოპოსმა ლეონიდმა, უმაღლესი რესკრიპტის ძალით, მოუწოდა თავის სამწყსო სამღვდელოებას საამდროვო საკითხების გასარკვევად და გადასაწყვეტად. მღვდლებმაც ამ დროს მღვდელმთავრის მოწოდება საგულისხმოდ მიიჩნიეს და 16 მარტს კა-გა ბლომად მოიყარეს თავი. ჩვეულებრივ ამგვარ ყრილობებს მხოლოდ დეპუტატები ესწრებოდნენ. ახლა კი, ამათ გარდა, მრავალი არა დეპუტატიც იყო ჩამოსული. ეტყობოდა, რომ კრება ყველას აინტერესებდა. დღევანდელ კრებაზე ახალგაზდა მღვდლები ჭარბობდნენ, რომელთაც სკოლის გავლენა და იქ თუ რამ კარგი შეუძენიათ, ჯერ კიდევ არ დავიწყნიათ.

კრება დაიწყო სასულიერო სასწავლებლის დარბაზში. მოიყარეს თუ არა თავი, მღვდლებმა მოითხოვეს, ეპისკოპოსი ჰყოლოდათ თავმჯდომარედ და კიდეც გაუგზავნეს დეპუტაცია და სთხოვეს, ეკისრნა მას ეს როლი. მღვდელთმთავარიც მოვიდა კრებაზე და მისალმების შემდეგ მიმართა სამღვდელოებას შემდეგის სიტყვით:

თქვენ, მამანო, რა თქმა უნდა, გასაკვირად დაგრჩებოდათ, რომ ამ მარხვაში თქვენს საქმეს—ლოცვასა და მარხულობას—მოგიშორეთ და აქ არა ჩვეულებრივ კრებაზე მოგწოდეთ. მაგრამ სხვა რა არის დღეს ჩვეულებრივი, რომ ჩვენი კრება იყოს ასეთი. დღეს ყველგან მოძრაობაა, ხალხი ყველგან ჰღელავს, და პირველი ტალღები ამ მღელვარებისა ეკლესიასა და მის წარმომადგენელ სამღვდელოებას მოხვდა. იქ ეკლესია დასწვეს, აქ გასტეხეს და ხატები წაიღეს; ზოგან მწირველ მღვდელს შეუვარდნენ და წირვა მიატოვებინეს და სხვ. მღვდლებს სულ აეყარათ პატივი ხალხში. მათ მოუსპეს საზრდო, ხორციელი არსებობის წყარო და ამრიგად მათი მდგომარეობა ტრაგიკულია. რით აიხსნება ეს? ყველა მოვლენას თავისი მიზეზები აქვს. იქნება მიზეზნი—ჩვენა ვართ,—ჩვენ დღეს იმას ვიმკით, რაც დაგვითესია?!.

მე აქ იმას არ შევეხები, ვინაა მართალი და ვინ მტყუანი. მაგრამ სულ უგრძნობი უნდა იყოს ადამიანი, რომ არ აღელვოს და არ დააფიქროს ხალხის მხრით გურიის სამღვდელოების ისეთმა ლანძღვამ, როგორიც ჩვენ პრესსის საშუალებით მოგვისმინეთ. ჩვენი სირცხვილი, თუ აქაც ისეთები აღმოვჩნდით. იქ არავითარი პროტესტი არ გამოუცხადებია მთავრობის კაცის წინაშე ადგილობრივ სამღვდელოებას და არც პრესსაში წამოკითხავს მათგან რამე (არ ათქმევინეს, არ დაუბეჭდესო, შენიშნეს ზოგიერთმა მსმენელებმა). ვაი თუ, ჯერი რომ ჩვენზე მოდგეს და მეორე კრიმ-გირეი ჩვენც გამოგვიგზავნონ, ჩვენც ისეთი უხმონი აღმოვჩნდეთ, როგორც მის წინაშე, ისე ხალხის წინაშეც. დღეს დროა აღვნიშნოთ ყოველივე ჩვენი ნაკლულევანებანი, საჭიროებანი და რაც რამ არა სასურველი გვჭირს, ან ჩვეულება გვაქვს საძაგელი, განვაგდოთ ჩვენგან, ცუდი მოვსპოთ და კარგის ნიადაგზე დავამყაროთ ჩვენსა და ხალხს შორის კეთილგანწყობილება, სიყვარული, ძმობა და ერთობა. აი, ამაზე გმართებთ თქვენ დაფიქრებული მოლაპარაკება.

მეორეც არა ნაკლები საკითხი გაქვთ გადასაწყვეტი,—ესაა სასულიერო და ქალების საეპარქიო სასწავლებლების ბედ-იღბალი. მე თითონ ვიყავი მოწმე იმ მოძრაობისა, რამაც ჩვენის სასულიერო სასწავლებლის დახურვა გამოიწვია. სხვების მიბაძვით, აქაურმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიეს და „ბანზაი“ დაიგრიალეს. მერე იაპონელები ჩვენთან მოვიდნენ, ხელი ჩამოგვართვეს და ავადმყოფთა მოვლისათვის დიდი მადლობა გადაგვიხადეს. მერე საავადმყოფოში გენ. ოკუს არმიის მეხუთე დივიზიის ადიუტანტი შემოვიდა, წმინდა რუსულ ენით დაგველაპარაკა, დაგვამშვიდა და გვთხოვა, წაბძანდით და მოისვენეთ, ავადმყოფებისა კი ნუ გეშინიანთ, ჩვენ მოუვლითო. არც ნოძუსი და არც ოკუს არმია მუკდენში არ გაჩერებულან, პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ გასწიეს და რუსებს დაედევნენ (რ. ვ.).

რუსეთისა და იაპონიის ჯარის-კაცი. მიუნჰენის ფსიხოლოგიურ საზოგადოებაში გერმანიის ცნობილ ჯარის ფსიხოლოგს გენერალს ფონ-ლიხტენშტერნს რუსეთისა და იაპონიის სალდათის შესახებ მოხსენება წაუკითხავს და, სხვათა შორის, უთქვამს: ეხლანდელ ომში ის ჯარი გაიმარჯვებს, ვინც ყოველ მხრივ თავდაჭერილი, აღფრთოვანებული, თავ-განწირულია და მამულისადმი სიყვარულით არის გატაცებული. ამისთანა ჯარი კი მხოლოდ დიდათ განათლებულ ერს ეყოლება. მერე ვისი ჯარი უახლოვდება ამ სამხედრო იდეალს,—კითხულობს გენერალი,—რუსეთისა თუ იაპონიისა?—და პირდაპირ ამბობს: რასაკვირველია იაპონიისა. იაპონელ სალდათს სიკვდილისა არ ეშინიან, იგი სძულს კიდევაც, არ ერიდება მას იქ, სადაც სიკვდილი საჭიროა და ერიდება იქ, სადაც მისი სიკვდილი საჭირო კი არა, მავნეც არის. იაპონელი საერთო საქმისთვის ყველაფერს გასწირავს, ინტელიგენცია ჭკვიანია, განვითარებული და ამიტომ არც იბნევა. რუსი კი, პირიქით, თუმცა მშიშარა არ არის, მაგრამ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი თვისება აკლია და უმთავრესად კი—პირადი, საკუთარი მოსაზრება, რასაც ეხლანდელ ომის დროს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს (ს. ო.).

ახალი ამბავი

ამიერ-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ ახალი უკაზი მიიღო. **ამ უკაზის ძალით, კანტორის დადგენილებით განქორწილებულთ ცოლქმრობის სიწმინდის დარღვევისა გამო** ნება მიეცემათ კვლავ იქორწინონ. ამ უკაზის პირი ყველა ეპისკოპოსებს დაურიგდათ.

✦ 28 მარტს თავ. არღუთინსკის თავმჯდომარეობით მოლაპარაკება ჰქონდათ **საპროფესსიონალო სასწავლებლის მოწაფე ქალთა მშობლებს**; მოწაფეებმაც და მათმა მშობლებმაც ერთხმად აღიარეს, თუ ქალაქის გამგეობა დასტოვებს ქ-ნ დრობიშევისას ხსენებულ სასწავლებლის დირექტრისად, შეუძლებელია სწავლის განგრძობაო. მშობლებმაც ითხოვეს, დაინიშნოს კომისია და ქ-ნ დრობიშევის საქციელი გამოიკვლიოსო.

✦ 30 მარტს, ტფილისის **ქალთა მეოთხე გიმნაზიის სადგომში,** საღამოს $7^1/_2$ საათზე, **შესდგა კრება ამ სასწავლებელში მოსწავლეთა მშობლებისა.** კრებას მოხსენდა კომისიის-მიერ შემუშავებული ზომები, რომელიც მიღებულ უნდა იქმნეს წესწყობილების გასაუმჯობესებლად ამ სასწავლებელში. პირველ ზომად ერთხმად აღიარებულ იქმნა მშობელთა მონაწილეობა ამ სასწავლებლის საბჭოში ხმის მიცემით, მხოლოდ სანამ ასეთი გადაწყვეტილება დაკანონდებოდეს, ახლავე არჩეულ უნდა იქმნეს მშობელთა კომისია ხმის უფლებით. მშობელთაგან არჩეულ პირებს უსათუოდ ნება უნდა ჰქონდეთ სასწავლებლის გამგისა და მასწავლებელთა დანიშვნა-გადაყენებისა. მეორე ზომად კრებამ სცნო ადგილობრივ ენების საპატიო ადგილის დათმობა და მათი სავალდებულოდ გახდომა. იქ დამსწრე რუსები და ერთი ქართველი ჩინოვნიკიც ბ-ნი გ. სამშობლო ენის სავალდებულოდ გახდის თანახმანი არ იყვნენ—საკმარისია ადგილობრივ ენებს მხოლოდ საპატიო ადგილი დაეთმოსო. მესამე ზომად აღიარებულ იქმნა სწავლების სისტემის გადათვალიერება და შეცვლა. სასწავლო სამკითხველოებისა და წიგნთსაცავების გაფართოვება, გამართვა საჯარო კითხვებისა, ლექციებისა, დაარსება საამხანაგო სასამართლოსი და მასწავლებლის შეზღუდვა სწავლების საქმეში და მოწაფე-ქალთა ყოფაქცევაზე თვით საზოგადოების-მიერ მეთვალყურეობა.

✦ სამშაბათს, 24 მარტს, **ვაჭართა მამასახლისის სადგომში ხაზეინთა და ნოქართა არჩეულ პირების კრება იყო**; თათბირი ჰქონდათ სადილის ფულის შესახებ და დაადგინეს: 17 წლისა და ამ წელზე ხნიერ ნოქარს ხაზეინებმა სადილისა და ჩაის ფულად აძლიონ დღეში 30 კაპ. ხოლო 17 წელზე უმცროსებს—15 კაპ., ეს ნიხრი ყველასათვის სავალდებულოა; იმათ გარდა, ვინც ნოქარს, თანახმად მისი სურვილისა, თვითონ აძლევს ჯამაგირს.

✦ ქართლ-კახეთის **სინოდალურ კონტორის მოსამსახურეთათვის სადგომების ასაშენებლად კომისია შესდგა.** კომისიაში არიან: საეპარქიო არქიტექტორი ბილფელდი, წევრი კონტორისა არქიმანდრიტი გიორგი, მდივანი ამავე კონტორისა ს. მგალობლიშვილი, **ხაზინადარი** ა. არდაზიანი და ექსარხოსის კანცელარიის მმართველის თანაშემწენი დ. დავითიშვილი და სოკოლოვი და კონტორის სტოლის უფროსი ა. დავითიშვილი.

✦ მცხეთის **სამთავროს დედათა მონასტრის იღუმენიად ინიშნება ქვრივი ბარალაშვილისა.**

✦ მოვიდა უკაზი **დედათა საეპარქიო სასწავლებლების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.**

✦ **ამიერ-კავკასიის** რკინის გზის ხარჯით **რუსეთ-იაპონიის ომში დაჭრილთა და მოკლულთა ობლებისათვის თავშესაფარი დაარსდა.** ყველა ცნობების მიღება შეიძლება რკინის გზის სამმართველოდან, ტფილისში.

✦ დეპეშებში უკვე იყო მოხსენებული, რომ ყარსის ოლქის მცხოვრები **მალაკნები და დუხობორები ამერიკაში სახლდებიანო.** გაზ. „მშაკ“-ს ატყობინებენ, რომ გადასახლების მიზეზი მათი აუტანელს გარემოებაში ცხოვრებააო. მაგალითად, ხალხი საკმაოდ გამრავლდა და ხაზინა კი მიწას არ აძლევს სამყოფს; გადასახადები მოუმატეს, ასე რომ, ადრე თუ ერთი სოფელი 200 მანათს იხდიდა, ახლა 1,000 მანათი შეაწერესო; ზამთარი ხანგრძლივია და სუსხიანი, თივა კი სამყოფი არა გვაქვსო; ბეითლები სრულიად ჯანმრთელ ოთხფეხ საქონელს გვიხოცავენო; ამას გარდა, მალაკან-დუხობორები შიშობენ, ვაი თუ ჩვენც მოგვისიონ რომელისამე სხვა ტომის ხალხი და ისე ამოგვჟლიტონ, როგორც ბაქოშიო. კიდევ სხვა მრავალ მიზეზსაც ასახელებენ.

✦ დღეს, 1-ლ აპრილს, სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში უნდა გაარჩიონ საქმე 25 სომხისა, რომელთაც ჰბრალდებათ ადმინისტრაციისათვის **შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევა** ქალ. განჯაში სომეხთა საეკლესიო მამულების ხაზინისაგან ჩამორთმევის დროს. («მშაკ»).

✦ დღეს, 1 აპრილს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში, არქიმანდრიტ კამიტასის თაოსნობით **გაიმართება სასულიერო და საერო სიმღერების კონცერტი.** ხორო უკვე ჩამოვიდა ეჩმიაძინიდან ტფილისში («მშაკ»).

✦ ოთხშაბათს, 30 მარტს, ქალაქის გამგეობაში **თათბირი ჰქონდათ უსახელო საზოგადოების და ქალაქის გამგეობის წარმომადგენელთ** ავლაბარში რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის შესახებ. უსახელო საზოგადოებამ ქალაქის კასაში უნდა შეიტანოს 30,000 მანათი ციციანოვის აღმართის მოსაწესრიგებლად.

✦ **სასტატისტიკო ცენტრალური კომიტეტი სთხოვს საგუბერნიო კომიტეტს**—წარმოუდგინოს ამ წლის ცნობები კავკასიის საადმინისტრაციო პუნქტების სათეს და საბალახო ადგილებისა და შინაურ საქონლის რაოდენობისა.

✦ **კნ. ბეგთაბეგოვისა სთხოვს ქალაქის გამგეობას:** დაიჩქარეთ თამარის ქუჩაზე (მე 9 ნაწილში) არხის გაკეთება, რადგანაც ამ ქუჩის მცხოვრებლებს ფული ჯერ კიდევ 1902 წ. გადაგვახდევინეთო. თუ ფული გაკლიათ, კიდევ მოგვთხოვეთ და ქუჩის უსუფთაობისაგან კი დაგვიხსენითო.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **უფროსმა აცნობა ქალაქის მოურავს:** თანახმად დროებით გამოცემულ წესდებულებისა **ხელოსანთა და მუშათა შესახებ,** ტფილისში ინიშნება კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი უნდა დაენიშნოს დღიური ფასი მუშებს, ზეინკლების თანაშემწეებს და შეგირდებს. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს ნამდვილი ფასები სანოვაგეზე, ახლა და ამ ხუთი წლის წინად არსებული. რადგანაც ასეთი ცნობები ხელთ არა მაქვს, გთხოვთ—თქვენ მაცნობოთო.

✦ ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულომ გუშინ, 31 მარტს, ექიმების თანადასწრებით შეამოწმა ნიკოლოოზ პირველის დროის ნამსახურთა 4 ქვრივი, რომელთაც ხაზინიდან **თვეში 3 მანათი უნდა დაენიშნოთ;** საკრებულომ ოთხივე ქვრივი ავადმყოფად სცნო და ნება მისცა ამ პენსიაზე

✦ **სახალხო სკოლების დირექტორი ქალაქის მოურავს სთხოვს:** მაცნობეთ—ქალაქის საბჭომ დაამტკიცა თუ არ ავლაბრის საქალაქო ოთხ-კლასიან სკოლების შესახებ დადგენილება, რომლის ძალითაც ქალაქის კასიდან ამ სასწავლებელს ყოველ წლივ 2 ათასი მანათის დახმარება უნდა აღმოეჩინოსო.

✦ დღეიდან **პურზე შემდეგი ნიხრი დაწესდა:** ფურნისა 1 ხარისხის—5 კ. მე-2-ე—4 კ. მე-3-ე—$3^1/_2$ კ. თორნისა ლავაში პირველი ხარისხისა 6 კ. მე-2-ე—4 კაპ.

✦ **როგორც ადმინისტრაციის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა** სჩანს, ტფილისის გუბერნიაში იმ თვის განმავლობაში ცეცხლი წაუკიდებიათ: ტფილისში 3-ჯერ, ტფილისის მაზრაში 4-ჯერ, სიღნაღისში 2-ჯერ, დუშეთისაში 3-ჯერ, გორისაში 2-ჯერ, ბორჩალოსაში 10-ჯერ და თელავისა 1-ჯერ. ზარალი 2252 მანათს უდრის.

✦ 30 მარტს, საღამოს 8-ნახევარ საათზე, 1 პოლიციის საბოქაულოში მისულა ბ. დუჩიძე და განუცხადებია; ნახევარ საათის წინად ვიღაც სამი უცნობი კაცი მოვიდა ჩემს მაღაზიაში და მთხოვა წმინდა სანთელი მოგვყიდეო; რადგანაც ჩემს დუქანში ბნელოდა, მე დავაპირე გამოსვლა ჩემს ფვერდით მეღუქნესთვის უნდა მეთხოვა სანათი, ამ დროს მწვდნენ და დამიჭირეს, შემიკრეს ხელ-ფეხი და დამკიდესო, მერე ჯიბეებში გამიჩხრიკეს და 1075 მან. 55 კაპ., ამომაცალეს, მივიდნენ დახლთან, იქიდგანაც 60 მან. ამოიღეს და გაიქცნენო. დამნაშავენი ვერ აღმოუჩენიათ.

✦ 30 მარტს, ერევნის მოედანზე, როტინოვის სამანუფაქტურო მაღაზიაში შესულა ვიღაც მანდილოსანი და შევაჭრებია ფართალს; რადგანაც ფასში ვერ მორიგებულა, მანდილოსანი უკანვე საჩქაროთ გამოსულა. ნოქრებს შეუმჩნევიათ, რომ ქალს რაღაც გაეტანა, მოუხმეს პოლიციის მოხელეს და დაადევნეს უცნობ მანდილოსანს; პოლიციის მოხელემ მანდილოსანი საბოქაულოში წაიყვანა, სადაც მას აღმოაჩნდა ორი ნაჭერი ფართლეულობისა და დაასახელა თავისი ვინაობაც; აღმოჩნდა, რომ იგი დონის ოლქიდან არის გადმოხვეწილი, გვარი—ტრეფულოვისა. პოლიციამ გაჩხრიკა ტრეფულოვის ბინაც, სადაც მის ქალს აღმოაჩნდა 17 ნაჭერი სხვადასხვა ფართლეულობისა.

შეგირდებმაც თავი გაანებეს სწავლას. დღემდი საქალებო სასწავლებელში მეოთხე კლასამდი იყო სწავლა, დღეს კი აქაც განაცხადეს: ახლანდელს პირობებში ადარც ჩვენ გვინდა სწავლაო და ჩვენც იძულებული გავხდით, აქაც შეგვეწყვიტა სწავლა, და ან კი როგორ შეიძლება სწავლის განგრძობა, როცა მთლად ქუთაისის სკოლებში აღარაა სწავლა!.. ამეებთან შედარებით სხვა საკითხები წვრილმანებია და აბა თქვენ იცით, როგორ დინჯათ და ჩაკვირვებით შეუდგებით ამ მწვავე საკითხების გამორკვევას.

გაათავა თუ არა ეს სიტყვა, მღვდელ-მთავარს კრების თავმჯდომარეობა სთხოვეს, მაგრამ მან განუმარტა, რომ ამის ნებას კანონი არ აძლევს და ამიტომ კრებას გამოემშვიდობა და განშორდა. შემდეგ კრებამ თავმჯდომარედ დაასახელა ერთ-ხმად ქალების საეპარქიო სასწავლებლის მღვდელი სპირიდონ დეკვეიშვილი, მაგრამ მისი და აგრეთვე არტემ ბოჭორიშვილის უარის შემდეგ აირჩიეს მღვდელი სიმონ მჭედლიძე. თუმცა საბუთის დაუსახელებლად უარი ამანაც განაცხადა, მაგრამ როცა მას შენიშნეს, რომ ერთი გავლენიან პირის (გულისხმობდნენ მ. ვოსტორგოვს) შიშის გამო უარობო,—ეს მან შეურაცხყოფად მიიღო და იმ წამსვე თავმჯდომარის სკამთან გაჩნდა, შეუდგა მინდობილ საქმის შესრულებას.

კითხვა აღიძრა იმაზე, თუ რაზე უნდა ეთათბირათ პირველად. თუ ჩვენ ახლანდელ მდგომარეობასა და მოთხოვნილებაზე გვექნება ჯერ ლაპარაკიო, სთქვა მღ. არტემ ბოჭორიშვილმა, საჭიროა ახლავე წავიკითხოთ გაზეთ „რუსის“ დღევანდელ მე-60 №-ში დაბეჭდილი წერილი ნ. დ.-ისა, რომელიც ძალიან დაგვეხმარება ჩვენი საკითხების გამორკვევაში. ამაზე თავმჯდომარემ უარი განაცხადა: კრებაზე გაზეთის კითხვის ნება ჩვენ არ გვაქვსო; ის ყველას ცალკე შეუძლიან და მერე აქ ვილაპარაკოთო. რა კანონი უნდა გაზეთის წაკითხვას, თუ კი იგი დღევანდელ ჩვენ საჭიროებას შეეხება. წაიკითხოს, წაიკითხოსო,—მიაყვირეს ერთბაშად ყველამ. მღ. ვლადიმერ ფოუხაძემ კი ასეთი უსაფუძვლო უარის თქმა ვეღარ მოითმინა და საყვედურით მიმართა კრებას: ,,მამანო, რუსმა ჩვენს საჭიროებაზე რუსულ ორგანოში საქვეყნოდ დასწერა ასეთი წერილი და ჩვენ აქ მის წაკითხვისაც კი გვიშლიან! ნუ თუ ასეთი საქციელი სამარცხვინო არ არის?!''

ამდენ შეძახილ-შემოძახილის შემდეგ, თავმჯდომარეც მოლბა, დასთანხმდა და გაზეთიც წაკითხულ იქმნა. კითხვის დროს ყველა ამბობდა: „უჰ, რა მშვენივრად გამოუთქვამს ჩვენი საჭიროება-მოთხოვნილებანი ვიღაც ღვთისნიერი ყოფილა; ამაზე უკეთესს ჩვენ რაღას ვიტყვითო“. და სხვ., მაგრამ როცა წაკითხვის შემდეგ ზოგიერთებმა მოითხოვეს, სამადლობელი დეპეშა გავუგზავნოთ რედაქციასა და წერილის ავტორსა და მღვდ. ბოჭორიშვილმა უკვე შედგენილ დეპეშის კითხვაც დაიწყო, კრება არ დაეთანხმა, დეპეშის გაგზავნის შესახებ მსჯელობა შემდეგისთვის გადადვა, მხოლოდ როცა ბოლოს დეკ. ღამბაშიძემ ეს საკითხი ხელახლა წამოაყენა, კრება დათანხმდა და დეპეშა გაგზავნა. ამ დეპეშის შინაარსი უკვე ვაცნობეთ „ივერიის“ მკითხველებს.

ასეთი იყო კრების დასაწყისი 15 მარტს, ხოლო მეორე დღეს შეუდგნენ მთავარ საკითხების გარჩევას: სამღვდელოების დღევანდელ მდგომარეობის დახასიათებას, ხალხთან დამოკიდებულებას და იმის გამოკვლევას, თუ რამ გამოიწვია ეხლანდელი გამწვავებული დამოკიდებულება ხალხსა და სამღვდელოებას შორის, რა ღონე უნდა იღონონ ამგვარ განწყობილების მოსასპობლად; შესაძლებელია თუ არა განაგრძონ სასწავლებლებში ნორმალური სწავლა და რა ზომები უნდა მიიღონ ამისათვის; არჩევა სამღვდელოებისაგან ბლაღოჩინებისა, ოფიციალურ სასულიერო ორგანოების გამოწერა და სანთლის ქარხნის გადატანა გელათის მონასტერში და სხვ.

ყველა ამ საგანზე სამღვდელოების მსჯელობას და გადაწყვეტილებას შემდეგ წერილში გაცნობებთ.

ის.—არიძე

ქუთაისის ცხოვრება

ქალაქის საქმეები საბჭოში. კარგი და ავი ამ საქმეებისა.

28 მარტის საბჭოს კრების თავმჯდომარემ—ქალაქის თავმა ახლად გადაცვლილის საბჭოს მდივნის ვანო ჯაფარიძის ხსოვნის პატივისცემის სიტყვით დაიწყო: „ის ხნიერი მოღვაწეთაგანი არ ყოფილა, რომ მისი ნამოღვაწევი ჩამოგითვალოთ, მაგრამ, როგორც ნიჭიერი მშრომელი ახალგაზრდა, ბევრის აზრით, დიდ იმედს იძლეოდა მოღვაწეობისას. აქაც თავის საქმეს კეთილ სინდისიერად ასრულებდა და ამისათვის ვსცეთ პატივი მის ხსოვნას ფეხზე წამოდგომით“ (ეს შეასრულეს). მაგრამ ამ სიტყვით პატივისცემას ნივთიერი პატივისცემაც უნდა დავუმატოთ,—სთქვა მანვე,—რადგან მას დარჩა ცოლშვილი, რომელიც მეტად ხელმოკლეაო, და საბჭოს სთხოვა მის ოჯახს ნახევარი წლის ჯამაგირი—700 მან. მიეცესო. ეს წინადადება ერთხმად მიღებულ იქმნა.

შემდეგ საბჭო მწვავე საკითხის გადაწყვეტას შეუდგა. ,,გუბერნატორმაო, სთქვა ქალაქის მოურავმა, წინადადება მოგვცა, ახლა მაინც გამოძლიერეთ პოლიციის მოხელეები, რომ მცხოვრებლები ძარცვა-გლეჯისაგან დავიცვაო. დღემდი პოლიციის განკარგულებაში 57 დესიატნიკი და მათი უფროსები იყვნენ და, ასე იყო თუ ისე, მშვიდობიანი დრო იყო და პოლიცია იოლად მიდიოდა, თუმცა მომატების წინადადებას ყველა პოლიცმეისტერები გვეჩიჩინებოდა; მაგრამ დღემდი თუ მათ ფულის უქონლობის გამო ეუბნებოდით უარს,—ახლა ისეთი დროა, რომ უარი არ გაგვივა. დღეს კანონით 500 კაცზე ერთი დესიატნიკი უნდა იყოს; მათი მოქმედების რაიონიც გადიდდა: ქალაქი ხუთი ვერსის სიგძე სიგანეზეა გადაჭიმული, 80 დიდი და პატარა მიხვეულ-მოხვეული ქუჩებია და, რასაკვირველია, ისინი ვერ ასდიან მცხოვრებლების და ადმინისტრაციის მოთხოვნილებებს. ქალაქში აღმოჩნდა აუარებელი რიცხვი ბოროტ-განმზრახველებისა; ისინი უბედურებას წარმოადგენენ მცხოვრებლებისათვის და, თქმა არ უნდა, ვერავის გულში თანაგრძნობას ვერ დაიმსახურებენო (განა ამას დამტკიცება უნდოდა)! ამისათვის განაგრძო მოურავმა მათ წინააღმდეგ თავგამოდებული ბრძოლა გვმართებს და გაძლიერებული პოლიცია გვჭირიაო, ამტკიცებდა ქალაქის თავი.

„მაგრამ რიცხვით გაძლიერება არ კმარა: თქმა არ უნდა 12—15 მან. ამ ხელობაში კარგი არავინ წავა; საჭიროა იმათი კონტინგენტი თვისებითაც გაეუმჯობესოთ და ამიტომ მათ ჯამაგირები უნდა მოემატოს: უმცროს დესიატნიკებს 12—50 კ.-დან გავუხადოთ 15 მან., ხოლო უფროსებს 17 მან. 50 კ., რომ უფრო გულმოდგინეთ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და საიმედო კაცები წავიდნენ ამ ხელობაში“.

ამაზე ოპოზიცია ქალაქის თავს თვით შინაობაში გასჩენოდა: ორივე მისი კოლეგა არავითარ საჭიროებას არ ხედავდა დესიატნიკების შტატის გაძლიერებაში, რადგან დღევანდელ სამხედრო წესების დროს, როცა ქუჩები ისედაც სავსეა მეთვალყურეებით, მეტი გაძლიერება რაღა საჭიროა ახლების მიმატებითო. სულ ერთია, ხალხი მაინც მათ ნდობით ვერ უყურებს და მისი ხარჯით რომ ასეთი პირები გავაძლიეროთ, ულოღიკობის გარდა, დანაშაულსაც ჩავიდენთ. ჩვენ ვეცადოთ თვით მცხოვრებლები დავაინტერესოთ, რომ ყოველივე ბოროტ მოქმედების მოსპობაში დაგვეხმარონ, თითონ გამოიჩინონ ბოროტების აღმოფხვრის სურვილი, როგორც ამას დღეს სოფლებში ჩადიან, და მართლაც დღეს გურიაში შესამჩნევად იკლო და ბევრგან მოისპო კიდეც ძარცვა-გლეჯა, კვლა, ქურდობა და სხ. სიავკაცე. პოლიციურ ზომებს კეთილი ნაყოფი არსად გამოუღია; ჩვენშიაც იგი არსებობდა და არსებობს, მაგრამ ხედავთ აგერ, დღე-შუაგულ, ჩვენ თვალწინ ამ მოკლე ხანში სამი თავხედური ძარცვა-გლეჯა მოხდა, თუმცა ვისაც წაართვეს, თითოს მაგიერ, ორ-ორიც კი ახლდა პოლიციელი და მაინც ვერ გადაარჩინეს გაძარცვას?! ეს კი მწარე დაცინვაა გაძლიერების სურვილისა და თუ თვით მცხოვრებნი არ იკისრებენ დღევანდელ ბოროტების მოსპობას, 20—30 პოლიციელის მომატებით მას ვერ მოსპობთო.

უკეთესი «ოხრანა», გაძლიერება რაღა იქნება, როგორც მთელი ქალაქის სამ ნაწილად გაყოფა და გენერლებისათვის თავის ჯარებით ჩაბარება. რაღა ჩვენი მიმატება ეპირვებათ?! ამისთანა დროს ბოროტება ყოველთვის ყოფილა და იქნება. დაბალი ზნეობის ბოროტი კაცები ყოველთვის სარგებლობდნენ ამგვარი დროით, მაგრამ ეს წარმავალი რამ არის და ამისათვის შტატის გაძლიერება საჭირო არ არის. ისედაც პოლიციაზე კაპიტალი, 15% საერთო ბიუჯეტისა, იხარჯებაო,—თქვა მესამე, გამგეობის წევრების მხარის დამჭერმა ორატორმა.

მაგრამ ამაზე სასამართლოში დამსახურებულმა ხმოსანმა ა. ფიფინოვმა პროტესტი განაცხადა და მხარი ისევ ამათი პოზიციის დამცველ თავს დაუჭირა. მან გადაჭრით თქვა, უმჯობესია მცხოვრებლებს მეტი ნივთიერი მსხვერპლი მოვთხოვოთ, მხოლოდ დავიცვათ კი იგი ძარცვა-გლეჯისა და საზოგადო შიშიანობისაგან. ამისათვის სასურველია, ვებრძოლოთ მიზეზებს და არა შედეგებს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, თქვა გულუბრყვილო მოხუცმა კირილემ, ძლიერი პოლიცია და პოლიციელების შტატი რომ დიდი გვქონოდა, სამხედრო წესები იქნება არც კი შემოეღოთო (sic!).

მაშ თუ ასეაო, დააბოლავა გამგეობის წევრმა, რახან არც მკვიდრის სურვილს აქცევთ ყურადღებას, არც ქალაქის კასა გენანებათ, აღებთ რა მას 6000 მან. ზედმეტ გადასახადს იმ დროს, როდესაც მას უფრო უსაჭიროესს საქმეებისათვის არ აქვს ფული,—დავაყენოთ პრინციპიალურად საკითხი: გადმოეცეს ქალაქის თვითმმართველობას პოლიცია, ის შექმნის ქალაქის მილიციას *), როგორც ეს საზღვარ გარედაა, და მაშინ ვნახოთ თუ დღევანდელ ამბებს ადგილი ექმნებაო. მაგრამ ასე ფართოდ საკითხის დაყენების ნება ქალაქის მოურავმა მისცა და გახავრებულმა დაიძახა: ,,подайте, пожалуйста, ящикъ сюда''-ო, და აკადემიურ ნიადაგზე ბრძოლას კენჭით მისი გადაწყვეტა არჩია, რომლითაც შტატის გაძლიერების მომხრე ათი აღმოჩნდა, ხოლო 9 მოწინააღმდეგე. ასე დაბეკრეს ათაში ერთხელ საბჭოს კრებებზე მოსულმა ხმოსნებმა ქალაქის ცალიერი კასსა, რომლის შემყურე იყო ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი, რომელნიც ჯამაგირებს თვეობით ვერ იღებენ, რადგან ქალაქის შემოსავლებმაც ძალიან იკლო.

28 მარტის საბჭოს კრება დაუვიწყარი დარჩება ქუთაისის თვითმართველობის ისტორიაში. დღეს, როცა ამ საკითხს სულ სხვა თვალით უყურებენ და მის ასე თუ ისე გადაწყვეტას ასეთის სიფრთხილით ეპყრობიან, ქუთაისის საბჭომ იგი უბრძოლოდ და თავისებურად გადასჭრა, რითაც, რასაკვირველია, თავი ისახელა..

ამავე კრებაზე ქალაქის თავმა წაიკითხა ახლად დანიშნულ ნამესტნიკის სახელობაზე გაგზავნილი დეპეშა და მისი პასუხი: ,,ქუთაისის ქალაქის მკვიდრთათაგან და პირადად ჩემგან ნება მომეცით, თქვენო უგანათლებულესობავ, მოგილოცოთ თქვენ კავკასიის ნამესტნიკად დანიშვნა. ეჭვი არა გვაქვს, რომ თქვენი ბრძნული განკარგულებანი, ერთგული მოპყრობა მკვიდრის საჭიროება-მოთხოვნილებათადმი და მიწვევა ადგილობრივი ძალებისა ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობის საკითხების გადასაწყვეტად, მკვიდრთა დაწყნარებას და დამშვიდებას გამოიწვევს''.

ამაზე გრაფმა უპასუხა ქალაქის მეთაურს: ,,გადაეცით ქუთაისის ქალაქისთ მკვიდრ და მიიღეთ პირადად ჩემი მადლობა მოლოცვისათვის. მკვიდრს ეჭვი ნუ ექნება, რომ მე მუდამ მზადა ვარ მის გაჭირვება-მოთხოვნილებებს გულითადად მოვეპყრო. იმედი მაქვს, რომ, ღვთისა და თვით მკვიდრის მეგობრულის დახმარებით, კავკასიის, ამ მდიდარი მხარის დაწყნარების, მშვიდობიანისა და ნაყოფიერ განვითარების შედეგი მალე თავს იჩენს''.

ის.—არიძე.

---

*) ამ საკითხის შესახებ ქალაქის გამგეობის წევრის გრ. გველესიანის მოხსენებას მკითხველს სხვა დროს გავაცნობ. ავტ.

სადღეისო

ნაწყვეტი.

საწყენია, როდესაც ადამიანი, ცხოვრების მძიმე უღელში გაბმული, თავს წმიდათა-წმიდას თანდათან ღალატობს, ივიწყებს ახალგაზრდობის გატაცებას და იმ გზას ადგება, რომელიც გუშინ თვითონვე გასაკიცხად მიაჩნდა, მით უფრო მაშინ, როდესაც მისი ახალი გზა—პირად კმაყოფილების გზა არის, მაძღარი კუჭის ტრფიალი...

მაგრამ სასაცილოა, როდესაც ასეთი „კუჭ-მაძღარი“ მოღვაწე გამოდის ხალხში და გაიძახის თამამად,—მე ვარ თავისუფლების მოტრფიალე, მე ვარ ახალ მოძღვრების მიმდევარი, არ დამვიწყებია ახალგაზრდობის იდეალები, ძველებურად მიძგერს გული და მინდა საზოგადოების კეთილდღეობას შევწირო თავიო.

უნდა—დაარწმუნოს სხვები და თვითონაც არის დარწმუნებული, რომ მართლაც არ გამოცვლილა... იტყვის ორიოდე ლიბერალი წინადადებას და თავი ლიბერალი ჰგონია, იტყვის დემოკრატიულ რასმე და უნდა, რომ დემოკრატი უწოდოს ყველამ,—სიტყვით, გარეგან სახით უნდა თავისი უშინაარსობა დაჰფაროს როგორმე. .

ასე ემართება ხანში შესულ კოპწია ქალსაც,—აქა-იქ დანაოჭებულ სახეს ფერ-უმარილით იგლესავს, კეკლუცად აქეთ-იქით გაიყურება, სარკეში ჩაიხედავს და ჰგონია, ისევ ძველებურად ლამაზი ვარო, ჰგონია, რომ სხვასაც უწინდელივით მოეწონება, რომ ვერავინ ვერ ამჩნევს მის მობერებას...

საბრალო!

მისი ცხოვრების ერთად-ერთი იარაღი,—სილამაზე—მოესპო, რჩება ცხოვრებაში გარიყული და უნდა ფერ-უმარილით მაინც უწინდელ მოტრფიალეთა გული მოიგოს როგორმე...

ამ კეკლუცს არა ჰგავს განა ისეთი ადამიანი, რომელსაც მთელი მისი ახალგაზრდობა შეუწირავს ხალხისთვის, რომელიც ახალგაზრდობაში არ შეშინებია დასჯას, ყოფილა თავისუფლების მებრძოლი და შემდეგ მოშორებია ამაებს და ცდილობს მარტო სიტყვებით, მოქარგულ ლაპარაკით დააჯეროს საზოგადოება,—ჯერ არაფერით არ მიღალატნია ჩემ ახალგაზრდობის აზრებისთვისო.

კუჭის ტრფიალისაგან მონაოჭებული ცხოვრება იგლისება და ლამაზდება ამ ლაპარაკით და თვით მოლაპარაკე ისევ ხალხის სიკეთის სურვილით გატაცებულსა ჰგავს პირველ შეხედვით.

ვერ ხედავს, რომ სიტყვების ფერ-უმარილი აშკარად ეტყობა და სიბრალულს იწვევს მოხუცებულ კეკლუცისადმი...

ცოტაა ასეთი კეკლუცი ყველგან, ჩვენშიაც?

ცოტაა ისეთი პირი, რომელიც დღეს კიდევ გამოდის სალაპარაკოდ ხალხში, ლიბერალ ფრაზებით ამჟღავნებს თავის არარაობას და უმთავრეს საკითხში, იქ, სადაც საქმე ეროვნულ ცხოვრების ძირითად საკითხებს შეეხება,—გარბის განზე ან... ივიწყებს თავისსავე ნათქვამს და გვერდში უდგება იმათ, ვისაც ხალხისათვის თვითმართველობის მინიჭება დიდი შეცდომა ჰგონიათ.

დღეს, როდესაც ერი მოითხოვს თვით-მართველობას, როდესაც რუსეთის ყოველი ერი ცდილობს მოიხვეჭოს ადგილობრივი ავტონომია, როდესაც თვით საუკეთესო რუსის მწერალნიც ამ სურვილს კანონიერად სთვლიან და თავიანთ ხმას უერთებენ პოლონელთა, ფინლიანდიელთა და სხვების ხმასაც ავტონომიის მოპოვების საქმეში, გამოდის ზოგიერთი „მოღვაწე“ ჩვენში და გაიძახის თამამად:

— არ გვინდა, არა!

რა არ უნდა? რაზედ აცხადებს უარს? რა მიაჩნია ზედ-მეტად ხალხისთვის?

— თვითმართველობა, თავისუფლება, საკუთარ საქმეთა მართვა-გამგეობის უფლება, ერისაგან, თავისი თავის პატრონობა და ბატონობაც.

ურჩევნია სხვისი მფარველობით სიცოცხლე და ხშირად სხვის ნებაზედაც სიარული სანატრელი ჰგონია.

ახალგაზრდობაში თავისუფლების მოტრფიალე ჰღალატობს თავისუფლების პრინციპს და უნდა მის მაგივრად იკმაროს სხვასთან თავისი საქმეების შეერთება და ამ შეერთებულ საქმეების საერთოდ მართვა და გამგეობა...

ამბობს ეს არის თავისუფლების ნამდვილი პრინციპიო.

მონაოჭებულ სახეზე ფერ-უმარილს იცხებს კეკლუცი.

ადამიანი წინ ეღობება ხალხის თავისუფლებას, მასში სრულ თვითმმართველობის დამყარებას ხელს უშლის, „ავტონომიისა“ და სხვა ამნაირ სიტყვების გაგონებაზე მირბის გამწარებული და ვერ ჰგრძნობს, რომ ამითი ღალატობს ხალხის ბედნიერებას.

ვერ ჰგრძნობს და კიდეც თავს იქებს,—მე ვარ თავისუფლების ნამდვილი მოტრფიალეო, მე ვარ ხალხის ნამდვილი კეთილის მყოფელი, მისი ნამდვილი ბელადი.

თან იმოწმებს თავის წარსულსაც,—ახალგაზრდობაშიაც თავისუფლების მებრძოლე ვყოფილვარო, და სხვადასხვა.

მობერებული კეკლუცი ცდილობს თავი ლამაზად მოაჩვენოს ყველას, ფერ-უმარილს ისვამს, ტანისამოსსაც არჩევს, იგრიხება და, რომ უფრო დაარწმუნოს ყველანი,—იმოწმებს თავის წარსულსაც,—ახალგაზრდობაში შესამჩნევი ლამაზი ვიყავი, ყველას სათაყვანო და საარშიყოო.

საბრალო კეკლუცი!..

ნ. ნ.

ქართლის ამბები.

წერილი მეჯვრისხევიდან

(საკუთარ. კორესპონდენტისაგან)

იშვიათად შეგხვდებათ ქართლში მეჯვრისხევისოდენა სოფელი. მცხოვრებნი, რომელთა რიცხვი 400 კომლს აღემატება, ძალიან ღარიბად არიან. სოფელში ცხოვრობენ აზნაურნიც, მაგრამ ისინი იმავ მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიაც გლეხები. მდიდარი ამ სოფელში მხოლოდ ერთი-ორი თავადია. მთელ ამ გაჭირვებულს ხალხს უკანასკნელ დრომდე ხმა არ ამოუღია თავის ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

დღეს კი საქმე სულ სხვა გვარადაა. ჩუმი და უფერული ცხოვრება მეჯვრისხევისა საერთო მოძრაობამა და გამოღვიძებულ ხალხის იმედიანმა ჰანგმა შესცვალა. დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ყველანი ერთობის აზრით გატაცებულან და სალამის მაგიერ ერთმანეთს ეუბნებიან:

— გაუმარჯოს ერთობას!

ხალხი ძალიან ცდილობს ნამდვილად განახორციელოს ეს აზრი და არ გაიმეოროს ის შეცდომები, რომელმაც მოძრაობის დასაწყისშივე იჩინა თავი. ამ სოფელში, როგორც ვსთქვი, ყველანი ღარიბნი არიან, მაგრამ პირველ ხანში გლეხებს ძალიან მტრულად დაუწყიათ ცქერა თავად-აზნაურობისათვის. ერთ თავადს კიდეც დამუქრებიან, კადაგწვამთო, მაგრამ საქმით კი გლეხებს განზრახვა არ განუხორციელებიათ. ამავ დროიდან (ერთის თვის წინად) მთელს სოფელს ყოველ-გვარი კავშირი გაუწყვეტია ბოქაულთან. დღესაც ბოქაულთან არავინ მიდის, მაგრამ ბოქაული კი სოფელს ხშირად ესტუმრება ხოლმე კაზაკებითა და დარაჯებით.

ერთი თვეა, აქაურ საავადმყოფოს მოქმედება შეუწყვეტია. გლეხებს ფინჯრებიც კი ჩაულეწიათ. თუ ჰკითხავთ, ასეთი საქმე რად ჩაიდინეთო, ასე ამბობენ:—აღარ შეგვიძლია ამდენი ხარჯების გადახდა. თითო ოჯახი მანათ-ნახევარს იხდის და საავადმყოფო ჩვენ არას გვარგია... ვინც მდიდარია, მხოლოდ იმას შეუძლია ისარგებლოს საავადმყოფოთი. ჩვენ ვითხოვთ, რომ საავადმყოფო უფასოდ დაგვიარსონ. ვისაც შეგვეძლება მივცემთ ხარჯს, ვისაც არა,—ის თავისუფალი იყოს.

აი, ამავე მოსაზრებით გლეხებს სკოლაც დაუხურავთ. გლეხები თხოულობენ, რომ სკოლაში საგნების სწავლება ქართულ ენაზე იყოს, ხოლო რუსული ენა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი. აგრეთვე თხოულობენ, რომ სკოლასთან უსათუოდ დაარსებულ იქმნას სამეურნეო განყოფილება. გლეხები თხოულობენ აგრეთვე ათასგვარ გადასახადების შემცირებას, პოლიციელთა თვითნებობის აღკვეთას, არაყის გამოხდის თავისუფლებას და სხვ.

თავიანთი მოთხოვნილებანი ათასგვარ საბუთებით გლეხებს უკვე წარუდგენიათ ტფილისიდან მოსულ კომისიისათვის, რომელშიაც ბ-ნი ვეიდენბაუმი და სხვანი იყვნენ.

კომისიის წასვლის შემდეგ გლეხებს ყრილობა გაუმართავთ და კვლავ მოულაპარაკნიათ თავიანთ მდგომარეობაზე. ყრილობაზე თავად-აზნაურთაგანი არც ერთი არ მიუკარებიათ. სხვათა შორის, დაუდგენიათ თავად-აზნაურთ მოჯამაგირეები ჩამოართვან და აღარც პურის მცხობელი მიაკარონ. ეს დადგენილება კიდეც აუსრულებიათ.

ერთმა აზნაურმა მიამბო:

— გლეხის დედა-კაცი პურს მაცხობდა. ცომი კი მოზილა, მაგრამ აღარ ჩააკრა თონეში და ისე გამექცა. მე და ჩემი ცოლი გაწვალეთ და პური ფურნეში ძლივს გამოვაცხვეთ.... გუთანიც მაქვს. კაცები გავგზავნე მიწის მოსახვნელად, მაგრამ გლეხებმა მუშაობაზე ხელი ააღებინეს.. არ ვიცი, რა ვქნა?..

გლეხებს კიდევ სდომებიათ მესამე ყრილობის გამართვა, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, რადგან ბოქაულს დიდძალი კაზაკები მიუყვანია სოფელში. გლეხებს მაინც თავისი არ დაუშლიათ და 20 მარტს მიცვალებულს გაჰყოლიან. მიცვალებული გაუსვენებიათ სოფელ გარედ სასაფლაოზე, სადაც ყველა სოფლებიდან გლეხ-კაცობა მოსულა. კაზაკები მრავლად ყოფილან დაყენებულნი ყველა გზებზე, რომ გლეხები სასაფლაოსკენ არ გაეშვათ, მაგრამ ზოგს ტყეებზე მოუვლიათ და 4,000 კაცი მაინც შეყრილა. წარმოთქმულა სიტყვები, დროშა აუფრიალებიათ და სიმღერით დაშლილან.

მეორე დღეს ბოქაულს შეუპყრია ოთხი კაცი, რომლებიც ხალხის მეთაურებად მიუჩნევია. ეს კაცები დღესაც გორის ციხეში სხედან.

27 მარტს, საღამოთი სოფელს მეოთხე კრება ჰქონდა. კრებას სხვა სოფლელებიც დაესწრნენ. ხალხმა გადასწყვიტა, მხოლოდ იმ თავად-აზნაურებთან შესწყვიტონ კავშირი, ვინც მათ მხარს არ მისცემს და ჯარს გამოიწვევს მოძრაობის ჩასაქრობად. გლეხებმა კიდეც დაასახელეს რამდენიმე კაცი, რომლებსაც ყველანი ცუდის თვალით უცქერიან. ამ კაცებს გლეხთა გადაწყვეტილების თანახმად, აღარ ეყოლებათ მოჯამაგირეები, პურისმცხობლები და არც ნება ექმნებათ მივიდნენ იქ, სადაც „ერთობის“ ორი კაცი მუსაიფობს. ამავე დღეს გლეხებმა დაადგინეს, მოსამართლეებად აირჩიონ 12 კაცი. ამ 12 კაცში ზოგი გლეხი იქნება და ზოგიც თავად-აზნაური. ამ კრებას რამდენიმე თავად-აზნაური დაესწრო და ყველანი დიდად კმაყოფილნი დარჩნენ, რომ თავად-აზნაურებს და გლეხებს შორის ნდობა მყარდება.

გლეხებმა გადასწყვიტეს, გაანთავისუფლონ ციხიდან ყველა ის კაცები, რომელნიც 20 მარტის ყრილობისთვის დაიჭირეს. აგრეთვე დაადგინეს, ყოველ კაცს, უბრალოდ დასჯილს, გამოესარჩლოს მთელი სოფელი და ამასთანავე ღონისძიებანი მიიღოს ქურდებისა და ცეცხლის წამკიდებელთა წინააღმდეგ.

8 საათზე კრება გათავდა.

მეც სახლში წაველი. 12 საათზე დავიძინე, მაგრამ პატარახანს უკან საშინელმა ზარის რეკამ გამომაღვიძა. მთელი სოფელი ყვირილით გარბოდა ეკკლესიისაკენ. შემდეგ გავიგე, რომ ერთი აზნაურის ოჯახი გაექურდა ვიღასაც და გლეხნი გამქურდველს დაეძებდნენ.

28 მარტს, დილით გლეხებმა ორი ოსი შეიპყრეს სოფლის გარედ და ამ ქურდობაში ბრალსა სდებენ. ოსები ამბობენ, ახლა გორიდან მოვდივართო, გლეხებს კი უნახავთ, რომ იმ ღამეს, როცა ყრილობა იყო, ისინი მეჯვრისხევის დუქანში ქეიფობდნენ.

რ—ბ—ლი.

მასალა ქართლის გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობის გამოსარკვევად.

გლეხების მოძრაობას დღეს ყველა გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს და ამიტომ ყოველი მასალა, რომელიც გლეხთა მდგომარეობის გასათვალისწინებლად ასე თუ ისე მნიშვნელოვანია, საინტერესო და ყურადღების ღირსი უნდა იყოს. გიგზავნით ამ მცირე შენიშვნას, რომლიდანაც დაინახავთ, თუ რამდენ სხვადასხვა გადასახადს იხდიდა დღემდის ქართლში გლეხი მემამულეთა სასარგებლოდ.

ს. შუაკვეში (დუშეთის მაზრა) გლეხი: 1. იხდიდა მამულის პატრონის სასარგებლოდ დღიურზე სამ კოდ პურს, იმის-და მიუხედავად, იყო მოსავალი თუ არ. 2. ამას გარდა იხდიდა ერთ ლიტრა ყველს და ნახევარ ლიტრა ერბოს. 3. უნდა ეშველა მემამულისთვის კალოზე, ვისაც ცხენი ჰყავდა,—ცხენით-და ვისაც ცხენი არ ჰყავდა,—ხარებით. კალოზე გლეხის საქონელს პირს უკრავდნენ, რომ არ ეჭამა ჭირნახული, და ეს საქონელი დილიდან საღამომდის უჭმელად რჩებოდა. 4. თითო კომლი აძლევდა მემამულეს ხუთ მუშას სამკალში. 5. ამას გარდა უჭრიდა ტყეში ას კონა სარს, რომელიც თვით გლეხებს უნდა ჩაეტანათ მემამულისთვის. 6. უჭრიდა თითო საჟენ შეშას და თავის ხარ-ურმით ჩაჰქონდა მემამულესთან. 7. საშობაოდ თითო კომლს ითითო ქათამი უნდა მიეტანა.

ს. მჭადისჯვარში (დუშეთის მაზრა) გლეხი იხდიდა: 1. დღიურზე სამ კოდ პურს (ან 9 მან.); ამასთან ყველა მოიჯარადრეს ერთი დღე უნდა ეშველა მემამულისთვის. 2. დალა თვითონ გლეხს უნდა მიეტანა ბატონისთვის, გაელეწა და ჭირნახული ბეღელში შეენახა და ამასობაში მისი საკუთარი ყანა უნდა დარჩენილიყო უპატრონოდ. 3. ამოწყვეტილ დროებით ვალდებულ გლეხის მამული მემამულეს ხელში გადადიოდა, თუმცა ამ მამულების გადასახადს სოფელი იხდიდა. 4. მემამულეს თავის მოჯამაგირისათვის რომელიმე ქალი თუ მოეწონებოდა ცოლად, ძალას ატანდა მშობლებს,—მიეთხოვებინათ. 5. გლეხის ქათამი ან ინდოური თუ გადავიდა მემამულის ეზოში, პატრონს აღარ უბრუნებდნენ და ჰკლავდნენ. 6. გლეხებს აკრძალული ჰქონდათ წყალზე მისვლა, ვისაც მიუსწრებდნენ,—კოკებს უმტვრევდნენ.

ს. გრემისხევში (დუშეთის მაზრა): 1. სადალკვლით (ფერდო) სახნავში წლიურად იხდიდნენ სამ მანათს, იმისდა მიუხედავად, იყო მოსავალი, თუ არა (ამნაირ ადგილში მოდის სულ დიდი მოსავლის დროს 5 კოდი). 2. საწვავ შეშაში საშინაოდ კომლზედ ერთი თუმანი. 3. ქვასა და ქვიშაში ურემზე ერთი აბაზი. 4. ას ცხვარზე წლიწადში, მემამულისავე არჩევით, გლეხს ხუთი ცხვარი უნდა მიეცა. 5. ტყეში შესვლა ცოცხის მოსაგროვებლადაც აკრძალული იყო.

ძალისელი.

პრესსა

გაზ. ,,სინ ოტეჩესტვოში'' მოთავსებულია პატარა ფელეტონად ლაპარაკი ერთ აღმატებულებასთან რუსეთის ახალ სესხის შესახებ.

ოქტომბერი. რას ჰფიქრობთ, თქვენო აღმატებულებავ, იმაზე, თუ რა გავლენა ექმნება ომიანობას რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე და როგორ გაუძლევს ფინანსთა მინისტრი ომიანობის აუარებელ ხარჯებს?

— ომიანობას თითქმის არავითარი გავლენა არა ჰქონია რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე, ეს ხარჯები კი სულ 450 მილიონი თუ იქნება და მათი შოვნაც ხომ სულ ადვილი რამეა.

— მაგრამ ომიანობა გრძელდება და, ვინ იცის, როგორი ხარჯები დასჭირდება კიდევ შემდეგში.

— უცხოელების სიმდიდრე ნუ დაგავიწყდებათ, თუ დაგვჭირდება,—გვასესხებენ ადვილად.

—

ბერლინში ფულის სესხების შემდეგ. ახალი სესხის პირობები იმდენად საადვილო აღარ არის, როგორც პირველი სესხის პირობები.

— ასედაც უნდა ყოფილიყო: ომიანობის დროს ყოველი ახალი სესხი უარეს პირობებით არის ხოლმე. საქმე ის არის, რომ რუსეთის კრედიტი შეურყეველია, რომ არ გაგვიძნელდა ფულის სესხება.

მუკდენს შემდეგ.—რას ჰფიქრობთ, თქვენო აღმატებულებავ, შინაგან სესხის შესახებ.

— მეტად სახეირო რამ არის რუსეთის კაპიტალისტებისთვის.

— მართალია, მაგრამ საზოგადოდ ეკონომიური ცხოვრება ცოტაოდნად არ არის საამისოდ მომზადებული. საფრანგეთი რაღას გვიპირებს?..

— . . . .

— რა გაეწყობა, საწყენი კი არის.

— გულახდილად გეტყვით, ომიანობის დაწყებისთანავე რუსეთის საფინანსო პოლიტიკა შემცდარ გზას დაადგა. ჯერ კრედიტების შემცირებას მოჰკიდეს ხელი, შეაჩერეს ნავთსადგურების, რკინის გზების და სხ. აშენება რუსეთში. ამის გამო შეიქმნა ეკონომიური კრიზისი, შემდეგ ამას საპოლიტიკო კრიზისი მოჰყვა... შეცდომა იყო,—პირიქით, რაც ადრე იყო, ის მუშაობა უნდა განეგრძოთ ყველგან; ამნაირ ხარჯისათვის ყოველთვის შეიძლებდა რუსეთი ფულის შოვნას საზღვარ გარედაც. მუშაობაში ხალხი მოგებას ნახავდა, ამას მოჰყვებოდა ქარხნების ნაწარმოების გასაღება,—და გადასახადი წინანდელზე მეტი შემოვიდოდა ხაზინაში, ხალხი თითქმის ვერც იგრძნობდა ომიანობას. რაც ზედმეტად დაურჩებოდა ამასობაში ხალხს, შინაურ სესხით იმისი შოვნაც შეიქმნებოდა შესაძლო.

— რა ადვილია! საზღვარ გარედ ფულის სესხება და შემდეგ შინაც ამავე ფულის სესხება.

— მართალია, მაგრამ ბევრს ვერ გაუგია სწორედ იმიტომ, რომ ეს ასეთი ადვილი გასაგებია.

— მაგრამ ამაზე უფრო ადვილი საშუალებაც არის,—ქაღალდის ფულის დაბეჭდვა ბლომად.

— ეს საშუალება მეტად საფრთხილო არის. ზოგიერთს ეჭვი შემოაქვს, გაიაფდება ფულიო.

— შეცდომა არის...

— საწყენი არ არის რუსეთისთვის, რომ იაპონელებმა ბევრად უფრო შეღავათიან პირობებით იშოვნეს ახლა ფული, ვიდრე რუსებმა.

— ისინი გამარჯვებული მხარე არიან, და ფულიანი ხალხი გამარჯვებულებს უფრო ენდობა ყოველთვის.

რუსეთი

მეოცე საუკუნის ინდულგენცია. რუსეთში გავრცელებულია ერთგვარი კვიტანცია, რომელსაც მღვდელი იოანე კრონშტადტელი არიგებს მარცხნივ და მარჯვნივ. ერთი ამისთანა კვიტანცია ,,სინ ოტეჩ.''-ას რედაქციას ჩაუვარდა ხელში:

კვიტანცია № 3100,—1900 წ.

ქ. პონევეჟ.

სახელი და გვარი: **ნ. ბუდოგოსკაიას.**

მადლითა მით ღვთის მიერ ბოძებულითა გარდმოგცემთ თქვენ კურთხევასა ღვთისასა და შეგიწყალოსმცა უფალმა ღმერთმა თვისისა განუსაზღვრელისა წყალობითა და **ოჯახიცა.**

დეკანოზი **იოანე სერგიევი.**

სიტყვები ,,პონევეჟ'', ,,ნ. ბუდოგოსკაიას'', ,,და ოჯახიცა'' და ,,იოანე სერგიევი'' ხელით არის ჩაწერილი, დანარჩენი—დაბეჭდილია (ს. ო.).

წითელი ფერი აკრძალულია. ამას წინად პეტერბურგში ერთმა ენატანია მუშამ მეორე მუშა მოკლა. მოკლულის გვამს სასაფლაოზე რამდენიმე ათასი მუშა გაჰყვა. წინ და უკან კაზაკები და ჟანდარმები მისდევდნენ. კუბოს წინ მიჰქონდათ უშველებელი გვირგვინი წითელ ლენტებით, რომლებზედაც ეწერა: ,,თავისუფლებისთვის მებრძოლ მსხვერპლს სოციალ-დემოკრატებისგან“. ერთ ალაგას პოლიციელებმა მოითხოვეს, წითელი გვირგვინი დამალეთო, მაგრამ ვერას გახდნენ, რადგან მუშები ამ გვირგვინს გარს შემოეხვივნენ და გვირგვინი უფრო ზევით ასწიეს. („რ. ს.“).

იაროსლავში ხომ უარესი ყოფილა: მარხავდნენ გიმნაზისტს პანოვს, რომელიც მთავრობამ იქამდის მიიყვანა, რომ პანოვმა გიმნაზიაში თავი მოიკლა. კუბოს რამდენიმე ათასი მოსწავლე, აუარებელი მუშა და ინტელიგენცია მისდევდა. წინ მიჰქონდათ 23 გვირგვინი სულ წითელ ლენტებით, რომლებზედაც ეწერა: „სასკოლო რეჟიმის მსხვერპლს“, „ბიუროკრატიულ წესწყობილების მსხვერპლს“, „ბოროტების უდანაშაულო მსხვერპლსა“ და სხ. წითელ ფერისა აქაურ პოლიციასაც შეშინებია და მისი თვალიდან მოშორება მოუნდომნია, მაგრამ ვერას გამხდარა („რ. ვ.“).

ახლად გარდაცვალებულ როდიჩევის გვამიც პეტერბურგელებს სულ წითელ ლენტებში გაუხვევიათ და სასაფლაოზე ისე წაუღიათ. ამ საშინელ ფერით შეწუხებულმა და შეშინებულმა პოლიციამ პეტერბურგელ მეკუბოებს დაავალა, ამას იქით წითელ ლენტებზე არაფერი დააწეროთ და გვირგვინებსაც წითელი არაფერი გაუკეთოთო. („ს. ო.“).

ახალი რეფორმა. რუსეთის ჯარის განუწყვეტელმა დამარცხებამ თვითონ ბიუროკრატიაც კი დაარწმუნა, რომ ჯარი ისე არ არის მოწყობილი, როგორც საჭიროა. ამიტომ ბიუროკრატიამ დაადგინა, ჯარი სხვანაირად უნდა მოეწყოსო, ე. ი. ჯარში რეფორმები უნდა მოხდესო, და ახდენს კიდევაც. „ბირ. ვედ.“-ის სიტყვით, სამხედრო სამინისტროში დიდი მუშაობა და კამათია, შეიძლება თუ არა აფიცერმა თავისუფალ დროს სამხედრო ფორმა არ ატაროსო. ამბობენ, შეიძლებაო (ს. ო.).

მეორედ მოსვლის ნიშნები. ვოლოგდის საქალაქო სამღვდელოებამ კერძო კრებაზე დაადგინა, დროა ჩვენც გამოვიღვიძოთ, მოქალაქობრივი გამბედაობა გამოვიჩინოთ, ხმა ამოვიღოთ და თავისუფლება მოვითხოვოთო. სამღვდელოებამ, სხვათა შორის, გადასწყვიტა, პოლიტიკაში აღარ ჩავერიოთო, ე. ი. პოლიციისა და ადმინისტრაციის ბრძანება იმის შესახებ, რაც ჩვენი საქმე არ არის, აღარ შევასრულოთო (რ. ს.).

სამღვდელოებას არც მოხელენი ჩამოუვარდნენ. პეტერბურგში, ,,ჩინოვნიკ''-თა დედა-ქალაქში, დიდი აგიტაციაა: სხვადასხვა დეპარტამენტებისა, სამინისტროებისა და დაწესებულებათა მოხელენი შეიკრიბნენ, კრება მოახდინეს, ფართო თავისუფლება მოითხოვეს და შესაფერი რეზოლიუცია დაადგინეს. ეხლა ეს რეზოლიუცია მთელ ქალაქში დააქვთ და ყველა მოხელეს ხელს აწერინებენ (ს. ო.).

სიცრუეა! თავ. მეშჩერსკი თავის ,,გრაჟდანინ''-ში დიდის სიამოვნებით აუწყებს მკითხველებს: სიცრუეა, ვითომ 1) მინისტრთა კრებაზე ზოგიერთი მინისტრი დასთანხმდა პოლონეთის სასწავლებლებში რუსულ ენის მაგიერად პოლონურ ენის შემოღებას, ვითომ 2) პობედონოსცევი სამსახურს თავს ანებებდეს, ვითომ 3) გლეხების აღელვების მიზეზი ეკონომიური გაღარიბება იყოს, 4) თავად-აზნაურობას კონსტიტუცია უნდოდეს და სხ. და სხ. და სხ. (გ.)

ბოქაულები თავს იმართლებენ. ყველას ეხსომება, რომ თებერვლის დამდეგს კურსკის მოსწავლენი პოლიციელებმა უმოწყალოდ გალახეს. ეკატერინოსლავის ბოქაულებმა ამის გამო კურსკის ბოქაულებს პროტესტი გამოუცხადეს და—იქნება თავის უნებურად ან შეცდომით—სიტყვა „ჰუმანიზმი“ ახსენეს. კურსკის ბოქაულებმა არა-მკითხე ლიბერალ ბოქაულებს პასუხი გასცეს და უსაყვედურეს, არა გრცხვენიანთ, პოლიციაში მსახურობთ და გაზეთების არაკებს უფრო უჯერებთ, ვიდრე ოფიციალურ ცნობასაო. მერე დასცინიან, სად ჰუმანიზმი და სად პოლიციაო! და ბოლოს სამართალს თხოულობენ, ხოლო „საზოგადოებრივს კი არა, რომელიც გაზეთების ჭორებზეა დამყარებული და რომლისაც ჩვენ არაფერი გვჯერა“, არამედ შინაური, ჩვენებური და ძველებურიო (რ.).

კორესპონდენცია

სოფელი ხეთა (სამეგრელო). ნეტავ, როდის ვეღირსებით იმ დღეს, როდესაც ჩვენი სკოლა განთავისუფლებულ იქმნება პოლიტიკურ მიმართულებისაგან და შეუდგება იმ წმიდა დანიშნულების აღსრულებას, რომელსაც ავალებს მას ჭეშმარიტი პედაგოგია. ამ პოლიტიკურ მიმართულების მხრივ სამეგრელოს სკოლები უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება. აქ 11—12 წლიწადია, რაც სამინისტრო სკოლიდან ქართული ენა იქმნა განდევნილი. ყველა საგნებზე სწავლება ხდება ყრმათათვის სრულებით გაუგებარ რუსულ ენაზე და ისიც ცნობილ ლევიტსკის მუნჯურ მეთოდით. ამისთანა სწავლებაში გონებას განვითარებას მოსწავლეებისას და მათთვის საჭირო და ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნას შეძენას თითქმის არა აქვს ადგილი. ოთხ-ხუთ წლის განმავლობაში მოწაფენი შეისწავლიან დამახინჯებულად რუსულ ლაპარაკს და იმგვარადვე წერას. სკოლიდან გამოსვლის შემდეგ უმეტესობა არა სცილდება თავის სახლის კარას; აქ სკოლიდან გამოტანილი რუსული ცოტაოდენი ლაპარაკი და წერა სრულებით ავიწყდება და შემდეგში განაწამები მოწაფე მტერი ხდება სკოლისა, რომელმაც ასე დასტანჯა და კი არა მისცა-რა.

თვით ხალხი სკოლებს უყურებს არა როგორც აღმზრდელ და გონების სავარჯიშო დაწესებულებას, არამედ როგორც ქარხანას, სადაც ყმაწვილმა ტანჯვით უნდა მოიპოვოს რამოდენისამე ხნით შემოკლება სალდათად სამსახურის ვადისა.

გურიაში და ზოგან საქართველოს სხ. კუთხეებში მოიპოვება სამკითხველო წიგნთ-საცავ. სამეგრელოში კი, არამც თუ სოფლებში, არამედ დაბა-ქალაქებშიაც არავინ უწყის, რა ხილია ეს სამკითხველოები, ამისათვის, ჩვენში არსებულ სასკოლო რეჟიმს უნდა ვუმადლოდეთ. როგორც ვიცით, 20—25 წლის განმავლობაში, იაპონელებმა ევროპის კულტურა გადაჭარბებით შეითვისეს და ჩვენს მხარეში კი, სწორედ ამდენივე ხანია, რაც სამინისტრო სკოლები არსებობს, და ჯერ კიდევ ხალხი შორს არის წერა-კითხვის ცოდნისაგანაც-კი. ახლა-ხან ხალხმა იგრძნო ეს უკუღმართული მიმართულება სკოლისა და თხოულობს მოსპობას ამ უკუღმართობისას. მაგრამ მას სკოლის საკითხის გარდა, ბევრი სხვადასხვა მწვავე საკითხები აქვს გადასაწყვეტი, რისთვისაც იგი თავისს უკმაყოფილებას აცხადებს საშუალებათა განურჩევლად: ზოგან გადასწვეს სამმართველოები, ზოგან დაწვეს საქმეები, გაიჩინეს თავისი მსაჯულები, სწყვეტენ სწავლებას სკოლებში, არ აძლევენ მასწავლებელთ ჯამაგირს და სხვა.

სოფლებში სანოვაგე გაძვირდა, ზოგან არც კი მოიპოვება. მასწავლებელს ფულიც აღარა აქვს, დუქნებში ნისია მოუსპეს, რადგან ჯამაგირს არ აძლევენ. რით დაიმსახურა სოფლის მასწავლებელმა ასეთი შევიწროება? ვის რა დაუშავა მან პირადად?

ჯერ არს, მასწავლებლები გულ-ხელ დაკრეფილნი არ დარჩნენ და თავიანთ საჭიროებაზე მსჯელობას მიჰყონ ხელი.

ჭის-ძირი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

31 მარტი.

ბერლინი, 30 მარტი. „კელნ. ცაიტუნგს“ არა ჰგონია მართალი იყოს ის აზრი, ვითომც როჟესტვენსკის განზრახვა ჰქონდეს თავის გემებით ვლადივოსტოკს მიაღწიოს; ეს შესაძლო არ არის, რადგან რუსეთის გემები საკმაოდ დაზიანდებოდნენ მადაგასკართანაო. ტოკიოდან სწერენ „ლოკალ ანცეიგერს“ აქ ძალიან აღელვებულნი არიან როჟესტვენსკისა და ტოგოს ესკადრების ბრძოლის მოლოდინში. ამბობენ, როჟესტვენსკის ესკადრა ჩინეთის ნაპირას რომელსამე ნავთსაყუდელში გაჩერდება და ვლადივოსტოკის ესკადრასთან შეერთებას ეცდებაო. ბრძოლა ზღვაზე, ანაბასის კუნძულებთან, რომლის ამბავიც ამსტერდამს მოსულა, იაპონელების მზვერავ გემებს შეეხება. ამბობენ, როჟესტვენსკი იაპონიის კუნძულებს ალყას შემოარტყამსო. ამ გზით რუსები ბევრს სურსათსა და მასალას იშოვიან, რომელიც იაპონიას დასავლეთიდან მოაქვსო. იაპონიაში მიდის ბრინჯი ბირმიდან და იავიდან. ამ გზების გადაჭრა იაპონიისთვის მეტად საგრძნობელი იქნება.

სინგაპური, 30 მარტი. მოვიდა ინგლისის კრეისერი სუტლეჯი და ამბავი მოიტანა, გუშინ განთენებისას გვერდზე გამოიარა ჩრდილოეთისკენ რუსის ესკადრამ, რომელშიაც 7 ჯავშნოსანი იყო.

ბერლინი. ლოკალ ანცეიგერს ატყობინებენ, რუსის ესკადრის მოახლოვება ძალიან აღელვებს ტოკიოში მცხოვრებთ. იაპონელების გაზეთები ამბობენ, რუსის ესკადრა სამხრეთ-ჩინეთის რომელსამე ნავთ-სადგურში გაჩერდება და ბრძოლას არ გაბედავს, ვიდრე ვლადივოსტოკის ესკადრასაც არ შეიერთებსო.

სინგაპური, 30 მარტი. „სუტლეჯ“ შეხვედრია რუსეთის ესკადრას 550 მილის მოშორებით სინგაპურზე ჩრდილო-აღმოსავლეთად.

სურაბაია (კუნძული იავა), 30 მარტი. (დეილი მეილი). მოვიდა გერმანელების გემი და მოიყვანა რუსის ორი აფიცერი, რომლებმაც სთქვეს, მატავიის მისულმა სანაზირო გემებმა საეჭვო ამბავი გაავრცელეს, ვითომც ზღვაზე ბრძოლა იყო და იაპონელებმა 4 გემი დაჰკარგესო.

ლაბუანი, 30 მარტი. იაპონელები ემზადებიან რუსეთის ესკადრასთან საბრძოლველად. გემებზე ახალი დიდი ზარბაზნები დაუდგამთ. სად არის და რა განზრახვა აქვს ბალტიის ესკადრას არავინ იცის. ამბობენ, რუსებს ვლადივოსტოკში ექვსი წყალში მავალი ნავი აქვთ ფრანგულ, ინგლისურ და ამერიკულ სისტემისა.

მაძიადანი. მოწინავე რაზმი მანდარინის გზით 27 მარტს სოფელ ცინპეიპუმდე წავიდა და შუადღისას ნანჩენზუს თოფი დაუშინა, რომელიც იაპონიის ქვეითა ჯარმა და კავალერიამ საჩქაროდ მიატოვა. ტყვედ წამოიყვანეს დაჭრილი იაპონელი დრაგუნი. იაპონელებს დარჩენიათ ცხელი საჭმელები, რუკები და დოკუმენტები. ასეული ტაუნგოუსთან 26 მარტს იაპონელების ქვეითმა ჯარმა და ხუნხუზებმა უკუ აქციეს ნანშანჩენძისკენ.

პეტერბურგი, 31 მარტი. გაზეთებს არა სჯერათ, ვითომც ბრძოლა მომხდარიყოს ანამბის კუნძულებთან. იგონებენ როჟესტვენსკის სიტყვებს: თუ დავამარცხე—მე გაცნობებთ, თუ იმათ დამამარცხეს—ისინი გაცნობებენო.

ტოკიო, 30 მარტი. საზღვაო საქმის მცოდნეთა აზრით, ბალტიის ესკადრა რამდენისამე დღის განმავლობაში საიგონის მიდამოებში ითარეშებს, რომ ამით ხელი შეუწყოს მზვერავ რაზმებს კარგად გამოიკვლიოს, თუ სად იმყოფება იაპონელთა ესკადრა. დღეს მინისტრ-პრეზიდენტი საყურადღებო საქმეზე ეთათბირებოდა სამხედრო მინისტრსა და სხვადასხვა დეპარტამენტის უფროსებს. იაპონელებს განზრახული აქვთ ბედის გადამწყვეტი ბრძოლა აუტეხონ ბალტიის ესკადრას, როცა ყველა მისი ნაწილები ერთად თავს შეიყრის. როდესაც ეს წუთი დადგება, ადმ. ტოგო შორი-ახლოდან უთვალთვალებს და ფორმოზასა და პესკადორის კუნძულებს დიდ მანძილზე არ მოშორდება.

სინგაპური. კრეისერ „სიუტლეი“-ს უფროსი იუწყება, რუსეთის ესკადრა ნატუნის კუნძულებთან დავინახე, როდესაც ნახშირით იტვირთებოდაო.

პეტერბურგი. ლინევიჩი ხელმწიფეს დეპეშით შემდეგს ატყობინებს 31 მარტის თარიღით: „29 მარტს შუადღისას ჩვენის ერთ-ერთ რაზმის არტილერიამ სროლა აუტეხა იაპონელებს, რომელთაც სოფ. ნანჩენძი ეჭირათ. ერთის საათის სროლის შემდეგ, ხსენებული სოფელი საჩქაროდ დავაცლევინეთ მტერს და ჩვენ დავიჭირეთ. ჩვენის ლაშქრის მარცხენა ფრთიდამ სოფ. ტაუანგოუში მტერმა შეავიწროვა ჩვენის ცხენოსნების ერთ-ერთი მოწინავე რაზმი. იაპონელებში ხუნხუზებიც ბევრნი იყვნენ. ჩვენი ცხენოსანი მოწინავე რაზმი სდევნის სოფ. ნანსანჩანძამდე. კარგა ხნის სროლის შემდეგ, იაპონელებმა სამხრეთისაკენ დაიწყეს და ნანსანჩანძი ისევ ჩვენებმა დაიჭირეს“.

მუნჯულინი. რუსების მზვერავებმა დაამოწმეს, სოფ. გულიუში ძლიერმა რაზმმა აიღოო, ეს სოფელი მტრის მოსაგერებლად გამოდგება. აღმოსავლეთისაკენ იაპონელები ჰინხუგაიდან საძინამდე არიან ჩამწკრივებულნი და დიდ მანძილს იცავენ. თბილი და ღრუბლიანი ამინდია. გზები კარგია.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში 4 აპრილს მთავრობას შეეკითხებიან, რომელ საბუთის ძალით დართეს ნება რუსეთის ესკადრას, სუეცის რუსხმულში (არხი) გავლის დროს ნახშირითა და ნუზლ-სანოვაგით დატვირთვისა, როდესაც 1898 წელს ესპანიის ფლოტს არც ერთ ამის ნება არ მისცესო.

პარიზი. ზღვათა მინისტრი სენატში ამტკიცებდა, საჭირო, ფლოტი გავაძლიეროთ და არსენალები საუკეთესოდ მოვაწყოთ.

მოსკოვი. ერობის დასი, რომლის მეთაურადაც თ-დი ტრუბეცკოი არის, 25 აპრილს მოსკოვში იწვევს კრებაზე ყველა გუბერნიების საერობო დაწესებულებათა მოღვაწეთ.

ლონდონი. ემირს დიდის პატივისცემით მიუღია ინგლისის საგანგებო მისსია. ინდო-ავღანისტანის ახალ ხელშეკრულობით, ინგლისს უპირატესი ზეგავლენა ექმნება ავღანისტანზე. ემირი გონიერი კაცი უნდა იყოს. მისსიას დიდი წვეულობა და დღესასწაულობა გაუმართეს. ემირმა ევროპელებთან ისადილა. ემირის უმცროსა ძმა დირექტორია საზოგადო სამუშაოთა და თოფხანების.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს. ,,ჩვენის ბრძანებით, 22 იანვარს 1902 წელს, დაარსებული საგანგებო საბჭო სამეურნეო საჭიროებათა გამოსარკვევად გაუქმებულ იქმნას და მისი საქმეები კუთვნილ უწყებათა და ახლად დაარსებულ საგლეხო მეურნეობის გაუმჯობესობის საგანგებო საბჭოს გადაეცეს''.

პეტერბურგი. ,,პრავიტელსტვენნი ვესტნიკ''-ში დაბეჭდილია: ,,გაზ. ,,სინ ოტეჩესტვა''-ს მე-35 №-ში (29 მარტისა) დასტამბულია პროექტი ხალხის წარმომადგენლობის კანონისა. ეს პროექტი გერმანულ გაზეთ ,,გაზმან''-ის ცნობაზეა დამყარებული. ავტორის ვინაობა არაა ნაჩვენები, მაგრამ განმარტებულია, რომ სულ პირველად ამ პროექტს განიხილავს შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით შემდგარი საგანგებო საბჭოო. ეს ცნობა ყოვლადვე საფუძველს მოკლებულია''.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 31 марта 1905 г
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5